

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

აქსანა ახმედოვა

ჩინეთის მედიატორობა 2023 წლის ირან-საუდის არაბეთის  
შეთანხმებაში

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისი  
2023

## აბსტრაქტი

ახლო აღმოსავლეთში ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებული დაპირისპირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. 2023 წელს პეკინში თეირანმა და რიადმა მიაღწიეს შეთანხმებას დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ. საყურადღებოა, რომ დაპირისპირებულ მხარეებს შორის მთავარი მედიატორის როლში წარსდგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ხსენებული კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში ჩინეთის ჩართვა სახალხო რესპუბლიკის რეგიონული სტრატეგიისათვის გარდამტეხ მომენტს წარმოადგენს, რამდენადაც პეკინმა მედიატორის როლი იკისრა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში. აღსანიშნავია, რომ გასულ ათწლეულში ჩინეთი საუდის არაბეთსა და ირანთან მიმართებით დამაბალანსებელ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა. გარდა ამისა, სახალხო რესპუბლიკა მხარეებს შორის მედიაციისათვის საჭირო დიპლომატიურ ძალისხმევას არ იჩენდა. შესაბამისად, ჩინეთის მიერ მედიატორის როლის შესრულებამ წარმოშვა კითხვა, თუ რა ფაქტორებმა უბიძგა პეკინს ამ პროცესში ჩართვისაკენ.

ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მედიატორის როლის შესრულებისაკენ უბიძგა. კვლევის ფარგლებში შესწავლილია ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით პეკინის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია და დიდ ძალებს (ჩინეთსა და აშშ-ს) შორის არსებული სტრატეგიული მეტოქეობა. ნაშრომი მოქცეულია „შემთხვევის შესწავლის“ დიზაინში და ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის გამოყენებულია თავდასხმითი რეალიზმის თეორიული საფუძვლები. შესაბამისად, ჩინეთის მიერ თეირანსა და რიადს შორის მედიატორის როლის შესრულება გამოკვლეულია სახალხო რესპუბლიკის, როგორც დიდი ძალის, პერსპექტივიდან.

**საკვანძო სიტყვები:** ირან-საუდის არაბეთის შეთანხმება, ჩინეთის მედიატორობა, ახლო აღმოსავლეთი, სტრატეგიული მეტოქეობა, აშშ, „სარტყელი და გზა“, თავდასხმითი რეალიზმი.

## Abstract

The conflict between Iran and Saudi Arabia in the Middle East has a significant impact on the security and stability of the region. In 2023, Tehran and Riyadh reached an agreement in Beijing to restore diplomatic relations. It is noteworthy that the People's Republic of China acted as the main mediator between the conflicting parties.

The engagement of China in the process of resolution of the mentioned conflict represents a turning point for the regional strategy of the People's Republic, as Beijing assumed the role of mediator in one of the most acute geopolitical conflict of the Middle East. It should be noted that during the last decade, China was pursuing a balancing foreign policy towards Saudi Arabia and Iran. In addition, the People's Republic did not make the necessary diplomatic efforts to mediate between the conflicting parties. Consequently, China's role as a mediator raised the question of what factors prompted Beijing to engage in this process.

Within the framework of the study, the main factors that pushed the People's Republic of China to pursue the role of a mediator are investigated. Thus, within the scope of the research, Beijing's foreign policy strategy in the Middle East and the strategic competition between the great powers (between China and the USA) are studied. The paper follows a "case study" design and is based on qualitative research methods. For an in-depth analysis of the issue, the theoretical foundations of offensive realism are used. Accordingly, China's role as a mediator between Tehran and Riyadh is examined from the perspective of the People's Republic as a great power.

**Keywords:** The Saudi-Iran deal, China's mediation, The Middle East, Strategic competition, The USA, "Belt and Road", Offensive realism,

## სარჩევი

შესავალი .....	1
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
თავი II. თეორიის მიმოხილვა.....	17
თავი III. საკითხის ისტორიული მიმოხილვა.....	22
3.1 ირან-საუდის არაბეთის ურთიერთობები .....	22
3.2 ირან-ჩინეთის ურთიერთობები.....	26
3.3 ჩინეთ-საუდის არაბეთის ურთიერთობები.....	27
3.4 ჩინეთის ფაქტორი ირან-საუდის არაბეთის ურთიერთობებში .....	28
თავი IV. ჩინეთის რეგიონული სტრატეგია და მიზნები .....	30
4.1 ჩინეთის სტრატეგია ახლო აღმოსავლეთში .....	30
4.2 „სარტყლისა და გზის ინიციატივა“ და „1+2+3“ თანამშრომლობის მოდელი .....	35
4.3 BRI და საუდის არაბეთი.....	36
4.4 BRI და ირანის ისლამური რესპუბლიკა.....	37
თავი V. სტრატეგიული მეტოქეობა.....	40
5.1 სტრატეგიული მეტოქეობა აშშ-ს გადმოსახედიდან .....	40
5.2 სტრატეგიული მეტოქეობა ჩინეთის გადმოსახედიდან .....	43
5.3 ჩინეთი - პასუხისმგებელი დიდი ძალა.....	45
თავი VI. საკითხის ანალიზი თეორიულ ჭრილში.....	47
დასკვნა .....	50
გამოყენებული ლიტერატურა.....	52

## შესავალი

ახლო აღმოსავლეთის ორ დიდ სახელმწიფოს, საუდის არაბეთსა და ირანს შორის დაძაბულობა 21-ე საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში, რეგიონში მნიშვნელოვანი კონფლიქტების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა. აღნიშნული ძალების რეგიონული ჰეგემონიისაკენ სწრაფვა და იდეოლოგიური დაპირისპირებები იწვევდა დაძაბულობის ესკალაციას იემენში, ლიბანში, ერაყსა და სირიაში.

თუმცა, რეგიონული წესრიგის შესახებ მოლოდინები მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც 2023 წლის 10 მარტს, პეკინში, საუდის არაბეთმა, ირანმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ საჯაროდ განაცხადეს, რომ თეირანსა და რიადს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება 2016 წელს შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ (Shine, Guzansky, & Shavit, 2023, pp. 1-5).

შვიდწლიანი დაპირისპირების შემდგომ, საუდის არაბეთსა და ისლამურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობების დათბობა საერთაშორისო აქტორებმა (მათ შორის, ევროკავშირმა (Team, 2023) და აშშ-მა (Europe, 2023)) დადებით მოვლენად აღიქვეს და ამ ინიციატივას მიესალმნენ. აღნიშნული გარიგების მიხედვით, რიადი და თეირანი შეთანხმების ხელმოწერიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში აღადგენენ დიპლომატიურ კავშირებს და იემენში არსებული პრობლემის გადაჭრას შეეცდებიან (Brown, 2023).

აღსანიშნავია, რომ ურთიერთობების ნორმალიზებისათვის საუდის არაბეთსა და ირანს შორის მოლაპარაკებები 2021 წლიდან ერაყსა და ომანში მიმდინარეობდა. აშშ ამ მწვავე კონფლიქტში აღნიშნული ქვეყნების მიერ მედიატორის როლის შესრულებას დადებითად გამოეხმაურა. ამ ორწლიანი პროცესის შემდგომ, 2023 წელს, ხუთდღიანი მოლაპარაკებების შედეგად, თეირან-რიადის შეთანხმება სწორედ პეკინში იქნა მიღწეული (Shine, Guzansky, & Shavit, 2023). ამიტომ საერთაშორისო დონეზე ამ გარიგების მთავარი მოდერატორის როლში გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც აღნიშნულ სახელმწიფოებს შორის „ურთიერთობების დათბობისაკენ“ გადადგმულ ნაბიჯებს ბოლო ეტაპზე შეუერთდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ირან-საუდის არაბეთის შეთანხმება მნიშვნელოვანი პროგრესია, რამდენადაც პეკინისათვის ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს. ჩინეთის მიერ იმპორტირებული ნავთობის დაახლოებით 40 პროცენტი ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებზე მოდის. გარდა ამისა, სახალხო რესპუბლიკის „სარტყელი და გზის“ სახელწოდებით ცნობილ გრანდიოზულ საინვესტიციო პროექტში რეგიონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც საუდის არაბეთი, ისე ისლამური რესპუბლიკა წარმოადგენენ პეკინის სტრატეგიულ პარტნიორებს ( 2016 წელს საუდის არაბეთი და ჩინეთი შეთანხმდნენ ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბების შესახებ (China, 2016); ამავე წელს ანალოგიური შეთანხმება იქნა მიღწეული თეირანსა და პეკინს შორის (Fulton, 2022, p. 1)).

შვიდწლიანი დამაბულობის პერიოდში სახალხო რესპუბლიკა ორი ურთიერთდაპირისპირებული პარტნიორის მიმართ დამაბალანსებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა (Gallagher, Hamasaeed, & Nada, 2023). თუმცა თეირანსა და რიადს შორის არსებული დაპირისპირება რეგიონში სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მოქმედების სპექტრს მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ირან-საუდის არაბეთის შეთანხმებამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაათავისუფლა დამაბალანსებელი საგარეო პოლიტიკის სირთულეებისაგან.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საუდის არაბეთისა და ირანის გარიგება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს როგორც ახლო აღმოსავლეთში რეგიონული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ისე ჩინეთის სტრატეგიული (პოლიტიკურ-ეკონომიკური) ინტერესებისათვის. თუმცა, პეკინის მედიატორობა საერთაშორისო საზოგადოებისათვის მოულოდნელ მოვლენას წარმოადგენდა; ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახალხო რესპუბლიკის ჩართულობით რეგიონში კონფლიქტის რეზოლუციისათვის მნიშვნელოვანი შეთანხმება იქნა მიღწეული.

საუდის არაბეთსა და ირანს შორის დამაბულობა გარკვეული პერიოდულობით ხასიათდება. მაგალითად, 1991-2003 წლებში თეირანსა და რიადს შორის ურთიერთობები გარკვეულწილად დადებითი დინამიკით გამოირჩეოდა, 2003-2011 წლებში კი, ამ ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვან დამაბულობას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი აღნიშნული პერიოდების განმავლობაშიც თანამშრომლობდა ორივე ქვეყანასთან, სახალხო რესპუბლიკა ამ შემთხვევაში არ ასრულებდა აქტიური მედიატორის როლს. შესაბამისად, 2023 წლის თეირან-რიადის გარიგება წარმოადგენს მნიშვნელოვან და გარდამტეხ მომენტს ზემოთ ხსენებული სამი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ირან-საუდის არაბეთის შეთანხმებას, დადებით ეფექტებთან ერთად, თან ახლავს რიგი რისკები და შეზღუდვები. სახალხო რესპუბლიკამ, როგორც შუამავალმა ქვეყანამ, შეთანხმების იმპლემენტაციისათვის ორივე პარტნიორზე გარკვეული ზეწოლა უნდა მოახდინოს. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ, როგორც წესი, სახალხო რესპუბლიკა თავს შორს იჭერდა ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პეკინი მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებდა, ჩინეთი კონფლიქტის რეზოლუციისათვის დიდი დიპლომატიური ძალისხმევით არ გამოირჩეოდა. აღნიშნული სირთულეების გაანალიზების შედეგად, საუდის არაბეთსა და ირანთან მიმართებით ჩინეთის სამედიაციო დიპლომატია გარკვეულ ინტერესს იწვევს. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს უპასუხოს ქვემოთ მოცემულ საკვლევ კითხვას:

რა ფაქტორებმა უზიძგა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საუდის არაბეთსა და ირანს შორის მედიატორობისაკენ?

საკვლევ კითხვის საპასუხოდ კი, ჰიპოთეზა ყალიბდება შემდეგნაირად: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას საუდის არაბეთსა და ირანს შორის მედიატორობისკენ უზიძგა ახლო აღმოსავლეთში სტრატეგიული ინტერესების დაცვის და გავლენის გაძლიერების სტრატეგიამ“.



შესაბამისად, საკვლევო კითხვიდან გამომდინარე, ნაშრომი მიზნად ისახავს ქვემოთ აღნიშნულ დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს შორის კავშირის დადგენას:

- დამოუკიდებელი ცვლადია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ახლო აღმოსავლეთში სტრატეგიული ინტერესების დაცვის და გავლენის გაძლიერების სტრატეგია.
- საუდის არაბეთსა და ირანს შორის ჩინეთის მედიატორობა კი, წარმოადგენს დამოკიდებულ ცვლადს.
- აღნიშნულ ცვლადებს შორის კავშირს აძლიერებს შუალედური ცვლადი - აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული სტრატეგიული მეტოქეობა.

ნაშრომი მიზნად ისახავს ზემოთ ხსენებულ ცვლადებს შორის არსებული კავშირის გაზომვას. განსაზღვრულ დამოუკიდებელ, დამოკიდებულ და შუალედურ ცვლადს შორის კავშირი კი, მოკლედ, შემდეგნაირად აიხსნება:

სახალხო რესპუბლიკის გადმოსახედიდან, ახლო აღმოსავლეთი ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი რესურსების წყაროა. ჩინეთი განსაკუთრებით მჭიდროდ თანამშრომლობს რეგიონის ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებთან. მეორე მხრივ, სახალხო რესპუბლიკისათვის ახლო აღმოსავლეთი ეროვნული პროდუქციისათვის მნიშვნელოვან საექსპორტო ბაზარს წარმოადგენს. გარდა ამისა, პეკინი რეგიონში „სარტყლისა და გზის“ საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად საკუთარი სავაჭრო-საინვესტიციო პოტენციალის განმტკიცებას გეგმავს. ეკონომიკური ინტერესების დასაცავად კი, ჩინეთს სურს საკუთარი გავლენის გაძლიერება და განმტკიცება. თავის მხრივ, ახლო აღმოსავლეთში საუდის არაბეთსა და ირანს შორის არსებული დაძაბულობა ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენდა რეგიონში ჩინეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიისათვის. ახლო აღმოსავლეთში გავლენის გაძლიერებისაკენ აღნიშნულ მისწრაფებას კი, აძლიერებს აშშ-თან სტრატეგიული მეტოქეობა. ახლო აღმოსავლეთის ორ დაპირისპირებულ ქვეყანას შორის მედიატორის როლის შესრულებით სახალხო რესპუბლიკა ცდილობს რეგიონულ დონეზე მშვიდობის უზრუნველყოფი სახელმწიფოს იმიჯი მოიპოვოს. საერთაშორისო დონეზე კი, ამ მედიაციამ ხაზი გაუსვა რეგიონში აშშ-თან

სტრატეგიული მეტოქეობის პროცესში სახალხო რესპუბლიკის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ღირებულ წყაროს, რამდენადაც საკითხის სიახლიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკვლევ თემასთან დაკავშირებით ბევრი აკადემიური წყარო არ მოიპოვება. გარდა ამისა, სახალხო რესპუბლიკის სამედიაციო დიპლომატია არის ახალი ფენომენი, რამდენადაც პეკინი კონფლიქტების რეზოლუციაში აქტიურად მხოლოდ გასულ ათწლეულში ჩაერთო. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მოცემული კვლევა ჩინეთის, როგორც მედიატორი სახელმწიფოს მოტივებისა და მამოძრავებელი ფაქტორების შესახებ გარკვეულ აკადემიურ ინფორმაციას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე თვეში შექმნილი ნაშრომები და ზოგადად, სამეცნიერო წრეები ძირითადად კონცენტრირებულნი არიან ირანთან შეთანხმების მიღწევაში საუდის არაბეთის, როგორც აშშ-ს მოკავშირის მოტივაციებზე. მოცემული კვლევის ფარგლებში კი, აქცენტი კეთდება ჩინური მხარის ინტერესებზე. გარდა ამისა, ნაშრომში შესწავლილია აშშ-სა და ჩინეთს შორის არსებული სტრატეგიული დაპირისპირება და ამ პროცესის ჩინეთის სამედიაციო დიპლომატიაზე არსებული გავლენა. აღსანიშნავია, რომ საკითხის სიახლიდან გამომდინარე, საუდის არაბეთისა და ირანის შეთანხმება სტრატეგიული დაპირისპირების კონტექსტში არაა შესწავლილი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში რეგიონული კვლევებით დაინტერესებული მკითხველებისათვის აკადემიური თვალსაზრისით ღირებულ წყაროს წარმოადგენს.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში კვლევა მოქცეულია შემთხვევის შესწავლის (ქეის-სთადის) დიზაინში. ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, შემთხვევის შესწავლა წარმოადგენს ემპირიულ კვლევას, რომელიც საკვლევ ფენომენს იკვლევს მის გარშემო არსებულ რეალურ კონტექსტში (Yin, 2014, pp. 26-30). შესაბამისად, საკვლევი

კითხვისათვის სრულყოფილი პასუხის გასაცემად გამოყენებულია შესწავლის ახსნითი ტიპი, რომელიც საკითხის გარშემო არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას ამარტივებს.

ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის სტრატეგია და სამედიაციო დიპლომატია შესწავლილია კონკრეტული შემთხვევის, ირან-საუდის არაბეთის შეთანხმების კონტექსტში. გარდა ამისა, კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილებულია ისეთ ფართო საკვლევ საკითხზე, როგორცაა აშშ-ჩინეთის სტრატეგიული მეტოქეობა. შესაბამისად, დიდ ძალებს შორის ურთიერთობაც შესწავლილია კონკრეტული ქვეყნების და რეგიონის ფარგლებში.

ცვლადებს შორის არსებული კავშირის გაზომვისათვის კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, კონტენტ-ანალიზი. ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც: „ტექსტური მასალის ანალიზის მეთოდი, რომელიც ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემებისა თუ ტენდენციების გამოსავლენად“ (წულაძე, 2020, გვ. 216).

აღნიშნული მიდგომის მიხედვით, საკვლევ კითხვისათვის პასუხის გასაცემად, გაანალიზებულია მეორეული და მესამეული ინფორმაციის წყაროები, კერძოდ კი, ოფიციალური დოკუმენტები, ცალკეული აკადემიური ნაშრომები და საჯარო გამოსვლები (ფრანკფორტ-ნაჩმიასი & ნაჩმიასი, 2009, გვ. 447-458). უფრო კონკრეტულად კი, ნაშრომის ფარგლებში გამოყენებულია დოკუმენტური კონტენტ-ანალიზი, რომლის თანახმადაც, ძირითადი აქცენტი კეთდება დოკუმენტების შინაარსობრივ მხარეზე (წულაძე, 2020, გვ. 26).

კვლევის ამოცანების მიხედვით, მოპოვებული მონაცემების სისტემური ანალიზი წარმოადგენს რელევანტურ მეთოდს. საკვლევ პრობლემის არსიდან გამომდინარე, კონცეპტუალურ-არსებითი პერსპექტივის მიხედვით, კონტენტ-ანალიზი ცვლადებს შორის კავშირის დადგენის ყველაზე ხელმისაწვდომი გზაა.

გარდა კონტენტ-ანალიზისა, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, დისკურს-ანალიზი. ეს უკანასკნელი კი, გულისხმობს „საუბრის“

ანალიზს. წინამდებარე ნაშრომში ცვლადებს შორის კავშირი გაზომილია, ასევე, ინტერაქციულ-სოციოლოგიური მიდგომის ფარგლებში. კერძოდ, ინტერაქციულ-სოციოლოგიური დისკურს-ანალიზის მეშვეობით გაანალიზებულია ოფიციალური პირების საუბარი და სოციოლინგვისტიკა (წულაძე, 2020, გვ. 250-253).

აღნიშნული მეთოდების რელევანტურობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რეგიონული გავლენის განმტკიცებისაკენ სწრაფვის ერთ-ერთი დასტურია სი ძინპინისა და სხვა ოფიციალური პირების გამოსვლები. გარდა ამისა, 2023 წლის ირან-საუდის არაბეთის გარიგების ისტორია მხოლოდ რამდენიმე თვეს ითვლის. შესაბამისად, ჩინური პერსპექტივიდან აღნიშნული შეთანხმების მნიშვნელობის გამოსაკვლევად საჭიროა აქცენტი გაკეთდეს სახელმწიფო მეთაურების მიერ ხაზგასმულ ნარატივებზე.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი და სტრატეგია მრავალი აკადემიკოსის ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. აღნიშნული საკითხის შესახებ შექმნილია სხვადასხვა აკადემიური წყარო, რომლებშიც აქცენტი კეთდება როგორც რეგიონში ჩინეთის ინტერესებზე, ისე აშშ-ს რეგიონული გავლენის მიმართ სახალხო რესპუბლიკის დამოკიდებულებაზე. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად ჩინეთს, ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებულ სამხრეთ ურთიერთობებზე თუ ურთიერთკავშირზე ნაკლები აქცენტია გაკეთებული. თუმცა რამდენიმე აკადემიურ ნაშრომში შესწავლილია პეკინის საგარეო პოლიტიკური მიდგომა საუდის არაბეთსა და ირანს შორის არსებულ დაპირისპირებასთან მიმართებით. წინამდებარე თავში მიმოხილულია ის აკადემიური წყაროები, რომლებშიც გამოკვლეულია როგორც ზემოთ ხსენებული საკითხები, ასევე, ჩინეთის, როგორც მედიატორის ძირითადი მოტივები და დამახასიათებელი თავისებურებები.

დაუნ მერფი წიგნში „ჩინეთის აღზევება გლობალურ სამხრეთში: ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა და პეკინის ალტერნატიული მსოფლიო წესრიგი“ (“China's Rise in The Global South: The Middle East, Africa and Beijing's Alternative World Order“) ახორციელებს ჩინეთის სტრატეგიის შედარებით ანალიზს ახლო აღმოსავლეთსა და სუბსაჰარას აფრიკაში. ავტორი ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის მიდგომას ხსნის რობერტ გილპინის კონცეფციის მიხედვით. მერფი ავითარებს მოსაზრებას, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში, აღნიშნულ რეგიონში ჩინეთის მთავარი მიზნებია ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, საერთაშორისო დონეზე უფრო მეტი მხარდაჭერის მოპოვება, რეჟიმის სტაბილურობის შენარჩუნება, განვითარებადი ქვეყნების კეთილგანწყობის გამოწვევა, საკუთარი ბიზნესისა და მოქალაქეების დაცვა და ტერიტორიული ერთიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა აშშ-სგან მოსალოდნელი საფრთხისაგან. მერფის მიხედვით, ჩინეთი აღნიშნული ინტერესების განსახორციელებლად, ახლო აღმოსავლეთში ქმნის გავლენის სფეროებსა და ალტერნატიულ რეგიონულ წესრიგს, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ანაცვლებს არსებულ სისტემას. თუმცა, ავტორის მოსაზრების თანახმად, აშშ-თან დაპირისპირების შემთხვევაში,

ჩინეთის ალტერნატიული რეგიონული წესრიგი ამოქმედდება. საბოლოოდ, წიგნის მიხედვით, ჩინეთი ახლო აღმოსავლეთში ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მერფი რეგიონში პეკინის მზარდ ინტერესს უკავშირებს, ობამას ადმინისტრაციის პერიოდიდან მოყოლებული, აშშ-ს აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში „წონასწორობის აღდგენის/დაბალანსების“ სტრატეგიის გააქტიურებას. სახალხო რესპუბლიკისათვის რეგიონის სტაბილურობა მნიშვნელოვანია, თუმცა, საუდის არაბეთსა და ირანს შორის არსებული დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში სტაბილური ვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს (Murphy, 2022, pp. 5-54; 96-142; 191-217).

აშშ-ს რეგიონული როლის მიმართ პეკინის დამოკიდებულებას აკადემიკოსთა ნაწილი დადებითად აფასებს. ენდრიუ სკობელი და ალირეზა ნადერი, ნაშრომში „ფრთხილი დრაკონი“ (“The Wary Dragon”) აღნიშნავენ, რომ რეგიონში აშშ-ს პოლიტიკური და სამხედრო მზადყოფნა სახალხო რესპუბლიკის ინტერესებში შედის. გამომდინარე იქიდან, რომ შეერთებული შტატები ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების გარანტორია, ჩინეთს შეუძლია მხოლოდ საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებზე კონცენტრირდეს და არ ჩაერთოს რეგიონის კონფლიქტური სიტუაციების მოგვარების მცდელობებში. შესაბამისად, ნაშრომის თანახმად, ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს სამხედრო მზადყოფნა ჩინეთის მიზნებს შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო რესპუბლიკას ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით ოფიციალურად წარმოდგენილი სტრატეგია არ გააჩნია, ნადერი და სკობელი მიიჩნევენ, რომ პეკინი რეგიონში კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით მოქმედებს. ავტორთა მიხედვით, ჩინეთი ახლო აღმოსავლეთში ოპერირებს, როგორც „ფრთხილი/წინდახედული დრაკონი“. აღნიშნული სტრატეგიის თანახმად, სახალხო რესპუბლიკა ცდილობს ნეიტრალური დარჩეს რეგიონის კონფლიქტებში და არ მიემხროს რომელიმე მხარეს. პეკინის მიზანია, რომ ახლო აღმოსავლეთში მოქმედი მთავარი აქტორების მიერ აღქმულ იქნას, როგორც ნეიტრალური ძალა, რომელიც არ არის რეგიონული მოთამაშე. ჩინეთს სურს ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდეს რეგიონის ქვეყნებთან. ამ თვალსაზრისით, მისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც საუდის

არაბეთი, ისე ირანი. აღნიშნული ეკონომიკური ინტერესების დასაცავად ჩინეთი მზადაა დიპლომატიური თუ პოლიტიკური ურთიერთობებისათვის. თუმცა ამ პრაგმატული მიზნების გარდა, პეკინს სხვა რეგიონული მისწრაფებები არ გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ნადერისა და სკობელის მიხედვით, რეგიონში აშშ-ს გავლენა კვლავ მტკიცეა და ვაშინგტონი ერთგული რჩება რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის როლისადმი. შესაბამისად, ავტორები არ ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ რეგიონში ამერიკული გავლენის კლების კვალდაკვალ ჩინეთის როლი გაიზრდება (Scobell & Nader, 2016, pp. 5-20; 73-78). ამავე მოსაზრებას იზიარებს ჯონათან ფულტონი, რომელიც აღნიშნავს, რომ ჩინეთის ინფრასტრუქტურული პროექტი (კერძოდ, „სარტყელი და გზა“) ხელს უწყობს მის უფრო აქტიურ როლს ახლო აღმოსავლეთში (Fulton, 2019, pp. 5-16).

აკადემიკოსთა ნაწილი ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის სტრატეგიას ხსნის არა დაბალანსების, არამედ „სტრატეგიული ჰეჯირების“ კონცეფციით. ჯერემი გარლიკი და რადკა ჰავლოვა თავიანთ ნაშრომში, “ჩინეთის „სარტყლის და გზის“ ეკონომიკური დიპლომატია სპარსეთის ყურეში: სტრატეგიული ჰეჯირება საუდი-ირანის რეგიონული დაპირისპირების შუაგულში“ (“China’s “Belt and Road” Economic Diplomacy in the Persian Gulf: Strategic Hedging amidst Saudi–Iranian Regional Rivalry”), აღნიშნავენ, რომ ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებული რეგიონული დაპირისპირების ფონზე, ჩინეთი ცდილობს როგორც აღნიშნული აქტორების, ისე აშშ-ს კეთილგანწყობის მოპოვებას. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც სკობელი და ნადერი, გარლიკი და ჰავლოვაც მიიჩნევენ, რომ რეგიონში აშშ-ს დომინანტური როლი ჩინეთის ინტერესებში შედის. ნაშრომის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთში პეკინის სტრატეგიას ხსნის „სტრატეგიული ჰეჯირების“ კონცეფცია. აღნიშნული მოდელი არ გულისხმობს დაბალანსებას. ავტორთა განმარტების თანახმად, სტრატეგიული ჰეჯირება არის რისკების შემცირების სტრატეგია, სტრატეგიული ინვესტიციებისა და ინტერესების დივერსიფიკაციის გზით. შესაბამისად, ნაშრომის მიხედვით, ჩინეთი აღნიშნულ ამოცანას ასრულებს არა რბილი ან ხისტი დაბალანსების მექანიზმებით, არამედ ეკონომიკური დიპლომატიის მეშვეობით. ამ კონცეფციის თანახმად, საუდის არაბეთსა და ირანთან ურთიერთობებში პეკინის მთავარი

ინტერესია ყოვლისმომცველი ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება. ჩინეთი არაა დაინტერესებული რეგიონში ამერიკის გავლენის შემცირებით, ვინაიდან სახალხო რესპუბლიკას არ სურს ახლო აღმოსავლეთის ჩახლართულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში ჩარევა. საბოლოოდ, ავტორები აღნიშნავენ, რომ ირანთან მიმართებით დონალდ ტრამპის მკაცრმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა სახალხო რესპუბლიკის ჰეჯირების სტრატეგია გაართულა (Garlick & Havlova, 2020, pp. 82-99).

გარლიკისა და ჰავლოვას მსგავსად, ჯონათან ფულტონიც, ნაშრომში „ჩინეთი ირანსა და ყურის მონარქიებს შორის“ (“China between Iran and the Gulf Monarchies“), ახლო აღმოსავლეთში სახალხო რესპუბლიკის სტრატეგიას სტრატეგიული ჰეჯირების კონცეფციით ხსნის. ავტორი აღნიშნავს, რომ რეგიონში სტატუს კვოს შენარჩუნება პეკინის ინტერესებში შედის. ამიტომ იგი მოქმედებს, როგორც რეგიონის გარეთ არსებული ძალა, რომლისთვისაც აშშ-ს რეგიონული უპირატესობა მიზანშეწონილია. თუმცა, ზემოთ ხსენებული აკადემიკოსებისგან განსხვავებით, ფულტონი მიიჩნევს, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნები პეკინისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ირანი. ამ მოსაზრების გასამართლებლად, იგი აანალიზებს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, ჩინეთი რეგიონის არაბულ ქვეყნებთან უფრო მეტს ვაჭრობს, ვიდრე ისლამურ რესპუბლიკასთან. ამის გარდა, ფულტონი ხაზს უსვამს ყურის მონარქიების უპირატეს მდგომარეობას ჩინური ინვესტიციებისა და ფინანსური ინსტიტუტების კუთხით და აღნიშნავს, რომ ეს ტენდენცია პოლიტიკურ სფეროშიც იჩენს თავს. შესაბამისად, ფულტონი მიიჩნევს, რომ ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის მზარდი როლი არ იწვევს ირანის გაძლიერებას ან არსებული რეგიონული წესრიგის დარღვევას. ავტორის აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში სახალხო რესპუბლიკის აქტიური რეგიონული პოლიტიკა გამოიწვევს ირანთან დაკავშირებით ჩინეთ-აშშ-ს თანამშრომლობას (Fulton, 2021, pp. 203-216).

აღსანიშნავია, რომ მანოჩჰრ დორაჟის მიხედვით, ჩინეთი საუდის არაბეთსა და ირანთან მიმართებით დამაბალანსებელ საგარეო პოლიტიკურ კურსს ატარებს. ავტორი თეირანსა და რიადს შორის არსებულ დაპირისპირებას აანალიზებს ჩინეთის ეკონომიკური



ინტერესების, უფრო კონკრეტულად კი, „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის პერსპექტივიდან. ნაშრომის მიხედვით, ჩინეთს არ სურს ამ კონფლიქტში ჩართვა. ამიტომ, ავტორის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ პეკინი ამ დაპირისპირების მოსაგვარებლად გამოიჩინოს დიპლომატიურ ან პოლიტიკურ ძალისხმევას (Chong & Pham, 2020, pp. 125-137). ამავე მოსაზრებას იზიარებს მორდეჩაი ჩაზიზა, რომელიც აღნიშნავს, რომ სახალხო რესპუბლიკის ზოგადი სტრატეგია არ ითვალისწინებს ადამიანური ან მატერიალური რესურსების გამოყენებას რეგიონული კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომების მოსაგვარებლად ან მედიაციის პროცესის წასახალისებლად. ავტორის მიხედვით, პეკინის აღნიშნული საგარეო პოლიტიკური კურსი განსაკუთრებით ეხება ახლო აღმოსავლეთს. მიუხედავად ჩინეთის მზარდი ენერგოდამოკიდებულებისა, მას არ სურს რეგიონის გეოპოლიტიკურ საკითხებში ჩარევა. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, ავტორი განიხილავს იემენის სამოქალაქო ომს და პეკინის დამაბალანსებელ პოლიტიკას (Chaziza, 2015, pp. 18-23).

ახლო აღმოსავლეთში სახალხო რესპუბლიკის სტრატეგიის შესახებ კითხვებს აჩენს არა მარტო ჩინეთსა და რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები, არამედ ბოლო წლებში პეკინისათვის დამახასიათებელი აქტიური მედიატორის როლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკადემიკოსები სხვადასხვა მოსაზრებას ავითარებენ, თუმცა ძირითადი აქცენტი მაინც ჩინეთის ეკონომიკურ ინტერესებზე კეთდება.

კენეტ შულცი, ნაშრომში „დიდი ძალების მედიაცია: შესაძლებლობები და გამოწვევები ჩინეთისათვის“ (“Great Power Mediation: Opportunities and Challenges for China”) ყურადღებას ამახვილებს სახალხო რესპუბლიკის, როგორც მედიატორი სახელმწიფოს, მზარდად აქტიურ სამედიაციო პოლიტიკაზე. ავტორი აღნიშნულ ტენდენციას უკავშირებს კონფლიქტურ ზონებში ჩინეთის მზარდ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ინტერესებს. შულცი მედიაციის პროცესს აანალიზებს დიდი ძალების დონეზე და მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ზესახელმწიფო მედიაციის პროცესში ერთგება ეკონომიკური/კომერციული ან პოლიტიკური ინტერესების ფონზე (Schultz, 2019, pp. 4-12).

შულცის მოსაზრებას იზიარებს ბერნარდო მარიანი, რომელიც კონფლიქტურ ზონებში ჩინეთის მზარდ ჩართულობას ხსნის 2013 წელს ინიცირებული „სარტყლისა და გზის“ ინიციატივით. მარიანი აკადემიურ სტატიაში („ჩინეთის ჩართულობა კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ პარამეტრებში: სტაბილურობის ძიება“ – “China’s Engagement in Conflict and Post-Conflict Settings: The Quest for Stability”), სახალხო რესპუბლიკის მაღალი რანგის თანამდებობის წარმომადგენელთა დისკურსის ანალიზის შედეგად, აქცენტს აკეთებს ჩინური მედიაციის განმსახვავებელ და მამოძრავებელ ფაქტორებზე. ავტორის თანახმად, დასავლური ძალებისგან განსხვავებით, მედიაციის პროცესში პეკინისათვის პრიორიტეტულია არა მშვიდობის, არამედ სტაბილურობის მიღწევა. ამ თვალსაზრისით, პეკინი ემიჯნება ტრადიციულ „ლიბერალური მშვიდობის“ მიდგომას (რომლისთვისაც მთავარია ისეთი კონცეფციები, როგორცაა თავისუფალი ბაზარი, პოლიტიკური უფლებების დაცვა, დემოკრატიული რეჟიმი). ჩინური ხედვის მიხედვით, კონფლიქტურ ზონებში სტაბილურობის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთა განვითარებითაა შესაძლებელი. ამასთან, განვითარების პროცესში მოიაზრება ეკონომიკური ზრდა და წინსვლა. ამავდროულად, სახალხო რესპუბლიკა ხაზს უსვამს „ადგილობრივი პრობლემებისათვის ადგილობრივი გამოსავლების“ პრინციპის აუცილებლობას (Mariani, 2022, pp. 6-42).

კენეტ შულცის ხედვისგან განსხვავებით, მარიანი ჩინეთის, როგორც მედიატორი სახელმწიფოს, მზარდ როლს ხსნის არა მარტო ეკონომიკური ინტერესებით, არამედ სხვა ისეთი ფაქტორებით, როგორცაა: სახალხო რესპუბლიკის მიერ საზღვარგარეთ, კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები მოქალაქეების დაცვის საჭიროება; შიდა სტაბილურობის უზრუნველყოფა, რამდენადაც, ცენტრალურ აზიაში არსებული რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ პეკინისათვის; ჩინეთის მზარდი ინტერესი, რომ საერთაშორისო დონეზე აღქმულ იქნას, როგორც პასუხისმგებელი დიდი ძალა (Mariani, 2022, გვ. 22-42),

როგორც კენეტ შოლცი, ისე ბერნარდო მარიანი თავიანთ ნაშრომებში ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ მედიაციის შესახებ ჩინური ხედვა დასავლური მიდგომისგან განსხვავდება. თუმცადა,

ხსენებულ ნაშრომებში, ავტორები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სახალხო რესპუბლიკის სამედიაციო პოლიტიკის განმასხვავებელ თავისებურებებს. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ნაშრომი - „ჩინეთის დიდი თამაში ახლო აღმოსავლეთში“ (“China’s Great Game in the Middle East”). სტატიების ამ სერიაში ჯონათან ფულტონი აღნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში პეკინის სამედიაციო დიპლომატია ფრთხილი მიდგომით გამოირჩევა. კერძოდ, ჩინეთი თავს იკავებს კონფლიქტის რეზოლუციაში გადამწყვეტი როლის შესრულებისაგან. ამავდროულად, პეკინისათვის არაა პრიორიტეტული სამედიაციო პროცესში დომინირება ან დღის წესრიგის დადგენა. ამდენად, ფულტონის თვალსაზრისით, აღნიშნულ რეგიონებში, კონფლიქტის რეზოლუციის პროცესში, სახალხო რესპუბლიკის მიდგომა სელექციურია და მკაცრადაა შეზღუდული ამ უკანასკნელის ინტერესებითა და შესაძლებლობებით (Lons, Fulton, Sun, & Al-Tamimi, 2019, pp. 10-17).

ფულტონისგან განსხვავებით, მორდეჩაი ჩაზიზა თავის სტატიაში („ჩინეთის მედიაციის ძალისხმევა ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში: კონფლიქტის კონსტრუქციული მენეჯმენტი“ – “China’s Mediation Efforts in the Middle East and North Africa: Constructive Conflict Management”) ჩინურ მედიაციას დასავლური მიდგომისგან განასხვავებს კულტურულ საწყისებში არსებული კონტრასტის ხაზგასმით. ჩაზიზას მიხედვით, ჩინური სამედიაციო პოლიტიკა მორალისტურ და კონფუციანისტურ ღირებულებებს ეფუძნება. კერძოდ, პეკინის სამედიაციო პრაქტიკაში პრიორიტეტულია სოციალური ჰარმონია, ავტორიტეტისადმი პატივისცემა, თავმდაბლობა, ზომიერება და კეთილმოსურნეობა. ამ თვალსაზრისით, სახალხო რესპუბლიკის მიდგომა განსხვავდება დასავლური მედიაციისაგან, რომელიც ინდივიდუალისტურია და ეფუძნება ისეთ კონცეფციებს, როგორცაა სამართლიანობა და თანასწორობა (Chaziza, 2018, გვ. 29-41).

ზემოთ მიმოხილულ რიგ აკადემიურ ნაშრომებში ავტორები იკვლევენ ჩინეთის სამედიაციო პოლიტიკას და მის ძირითად მახასიათებლებს. თუმცა, ხსენებული აკადემიკოსები ნაკლებ აქცენტს აკეთებენ ჩინური მედიაციის შეზღუდულ ბუნებაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია დეგანგ სუნისა და იაჰია ზუბირის სტატია („ჩინეთის მონაწილეობა

ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში კონფლიქტის რეზოლუციაში: კვაზი-მედიაციის დიპლომატიის შემთხვევა?“ – “China’s Participation in Conflict Resolution in the Middle East and North Africa: A Case of Quasi-Mediation Diplomacy?”), რომელშიც ავტორები ავითარებენ ახალ ხედვას სახალხო რესპუბლიკის სამედიაციო პრაქტიკის შესახებ. ამდენად, ნაშრომის მიხედვით, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის შეზღუდული მედიაციური ძალისხმევა შეიძლება შეფასდეს როგორც „კვაზი-მედიაციის დიპლომატია“. აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს, რომ სახალხო რესპუბლიკა ხსენებულ რეგიონებში კონფლიქტის რეზოლუციაში მონაწილეობს, მაგრამ მხოლოდ შეზღუდული მოქმედების სპექტრით. ამდენად, ჩინეთის შემთხვევაში, კვაზი-მედიაციის დიპლომატია მოიცავს ოთხი სახის პრაქტიკას: მრავალმხრივი ინტერვენცია, პროაქტიური ჩართულობა, შეზღუდული შუამავლობა, არაპირდაპირი მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სამედიაციო პრაქტიკებს შორის მთავარი განსხვავება მედიაციის პროცესისათვის დიპლომატიური რესურსების გამოყენების ინტენსიურობით განისაზღვრება. ამდენად, დეგანგ სუნისა და იაჰია ზუბირის თვალსაზრისით, ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებულ დაპირისპირებაში სახალხო რესპუბლიკა მიმართავს შეზღუდული შუამავლობის პრაქტიკას: ეს არის დაბალი დონის კვაზი მედიაციის შემთხვევა, რომლის დროსაც ჩინეთი არ არის სამედიაციო პროცესების წამყვანი სახელმწიფო და მისი აქტიურობა მხოლოდ კონფლიქტის რეზოლუციის პროცესებში მონაწილეობით შემოიფარგლება (Sun & Zoubir, 2017, გვ. 224-243).

საბოლოოდ, მიმოხილული ლიტერატურის საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის სტრატეგიისა და საგარეო პოლიტიკური მიზნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. აკადემიკოსთა ნაწილი ემხრობა მოსაზრებას, რომ სტატუს კვო სახალხო რესპუბლიკის ინტერესებში შედის და იგი არ უქმნის გამოწვევას აშშ-ს მიერ ჩამოყალიბებულ უსაფრთხოების რეგიონულ სისტემას. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ რეგიონში ამერიკის კლებადი გავლენის ფონზე იზრდება და გაიზრდება ჩინეთის ძალა. შესაბამისად, აკადემიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ჩინეთი გამოწვევას უქმნის აშშ-ს რეგიონულ ჰეგემონიას. რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთში საუდის არაბეთსა

და ირანს შორის არსებულ დაპირისპირებას, ნაშრომთა უმეტესობაში ხაზსგასმულია ჩინეთის დამაბალანსებელი საგარეო პოლიტიკური კურსი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ამდენად, ზოგიერთ აღნიშნულ ნაშრომში ჩინეთი წარმოჩენილია როგორც ეკონომიკურ ინტერესებზე ორიენტირებული ძალა, რომლისთვისაც პოლიტიკური გავლენის გაძლიერება არ არის არსებითი.

მეორე მხრივ, ჩინეთის, როგორც მედიატორი სახელმწიფოს როლის განმაპირობებელი ფაქტორები, ზემოთ ხსენებულ ზოგიერთ აკადემიურ ნაშრომში, მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ შულცი, მარიანი, ჩაზიზა და ფულტონი ხაზს უსვამენ სახალხო რესპუბლიკის მრავალმხრივ ინტერესებს, მათ ნაშრომებში ყურადღების მიღმა რჩება ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით პეკინის პოლიტიკური ინტერესები. ამავდროულად, ჩინური მედიაციის შესახებ ზემოთ მიმოხილულ ნაშრომებში ავტორები ორიენტირებულნი არიან სახალხო რესპუბლიკის სამედიაციო პრაქტიკის ძირითადი მახასიათებლების წარმოჩენაზე. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, ნაკლები აქცენტი კეთდება ჩინეთის მიერ აქტიური მედიატორის როლის შესრულების შესაძლო შედეგებზე, როგორც ჩრდილოეთ აფრიკაში, ისე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

## თავი II. თეორიის მიმოხილვა

წინამდებარე თავში განხილულია იმ თეორიული სკოლის (თავდასხმითი რეალიზმის) ძირითადი პოსტულატები და ხედვები, რომლის საფუძველზეც საკვლევ კითხვას გაეცემა პასუხი. რეალიზმი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტურ თეორიათა რიგს მიეკუთვნება, მოიცავს ორ თეორიულ განშტოებას: პოლიტიკურ რეალიზმსა და ნეორეალიზმს. პოლიტიკური რეალიზმის ძირითადი წარმომადგენლები არიან ჰ. მორგენტაუ, ჯ. ქენანი, ჯ. ჰერცი, რ. არონი და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური რეალიზმი და ნეორეალიზმი რეალიზმის ამოსავალ პოსტულატებში თანხმდებიან, ამ თეორიულ სკოლათა შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები იკვეთება. ამდენად, პოლიტიკური რეალიზმის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ადამიანის ბუნება, რომელიც აგრესიის წყაროა. შესაბამისად, აღნიშნული თავისებურება სახელმწიფოთა ქმედებებშიც იჩენს თავს (რონდელი, 2006, გვ. 57-61).

ნეორეალიზმის ფუძემდებლურ ნაშრომად შეიძლება დასახელდეს კენეთ უოლცის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ამ თეორიის განვითარებაში. ნეორეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოთა ქმედებებს განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემა, რომელიც, უოლცის თანახმად, ეროვნული დონის შიდა პოლიტიკური სისტემისგან განსხვავდება. ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობები მიმდინარეობს სისტემაში, რომელიც არ არის ცენტრალიზებული. შესაბამისად, არ არსებობს სახელმწიფოების მაკონტროლებელი „ცენტრალური ხელისუფლება“. ამიტომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია (აკობია, თვალავაძე, ტარასაშვილი, კაკაშვილი, & მოსიძე, 2021, გვ. 29-31).

ნეორეალიზმის ფარგლებში გამოყოფენ ორ თეორიულ სკოლას: თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი. ორივე თეორიული სკოლა თანხმდება იმ სამ ძირითად პოსტულატზე, რომლებიც ნეორეალიზმის ამოსავალი წერტილებია:

- სახელმწიფოები არიან სისტემის მთავარი აქტორები.
- სისტემა გავლენას ახდენს სახელმწიფოთა ქმედებებზე.

- ძალა და ძლიერება, ეროვნული ინტერესების მიღწევის გზაზე, მთავარი ინსტრუმენტია.

თუმცა, თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმი განსხვავდება შემდეგ ფუნდამენტურ საკითხში, თუ როგორ ოპერირებენ/რეაგირებენ სახელმწიფოები ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. თავდაცვითი რეალიზმის მთავარ წარმომადგენლებად შეიძლება დასახელდნენ კ. უოლცი, ჯ. სნაიდერი, ს. ვ. ევერა და რ. ჯერვისი. თავდასხმითი რეალიზმის აპოლოგეტად ითვლება ჯ. მირშაიმერი, რომლის წიგნი, „დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია“ ამ თეორიული სკოლის ფუძემდებლურ ნაშრომად მიიჩნევა (აკობია, 2006, გვ. 30-31).

თავდასხმითი რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული დონის თეორიაა, რომელიც, ასევე, მიიჩნევს, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში ძალა არის გადარჩენის ერთადერთი საშუალება. ჯ. მირშაიმერი პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელს, მორგენტაუს ეთანხმება იმ თვალსაზრისით, რომ დიდი ძალები მუდმივად ძალის ძიებაში იმყოფებიან. თუმცა თავდასხმითი რეალიზმი უარს ამბობს მოსაზრებაზე, რომ სახელმწიფოების აგრესიული ქმედებების მიზეზი მათი ბუნებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, ჯ. მირშაიმერი მიიჩნევს, რომ თავად ანარქიული საერთაშორისო სისტემა „მოუწოდებს“ სახელმწიფოებს ძალის მაქსიმიზაციისაკენ (Mearsheimer, 2001, pp. 21-22).

თავდასხმითი რეალიზმის ამოსავალი წერტილია 5 დაშვება. აღნიშნული პოსტულატები ხსნის თუ რატომ ცდილობენ სახელმწიფოები ძალის გაზრდასა და მაქსიმიზაციას. ამ პოსტულატების კომბინაციის შედეგად ჩნდება საკმარისი საფუძველი იმისა, რომ სახელმწიფოებმა ძალას მიმართონ:

1. საერთაშორისო სისტემა ანარქიულია. ეს არ გულისხმობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები მიმდინარეობს ქაოსურ ან არეულ მოცემულობაში. სისტემა ანარქიულია იმ თვალსაზრისით, რომ მისი შემადგენელი ერთეულები (დამოუკიდებელი სახელმწიფოები) არ ემორჩილებიან მათზე ზემდგომ „ცენტრალურ ხელისუფლებას“.

2. დიდი ძალები ფლობენ შესაბამის სამხედრო შესაძლებლობებს, რომ ერთმანეთს ზიანი მიაყენონ ან ერთმანეთი გაანადგურონ. შესაბამისად, ძლიერი სახელმწიფოები პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ ერთმანეთისათვის.

3. სახელმწიფოები ოპერირებენ სრული „გაურკვევლობის“ პირობებში. კერძოდ, ვერცერთი სახელმწიფო ბოლომდე დარწმუნებული ვერ იქნება, რომ მეორე აქტორი საკუთარ სამხედრო შესაძლებლობებს მის წინააღმდეგ არ გამოიყენებს. ამდენად, დიდია ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფოებს ერთმანეთთან მიმართებით „მტრული ზრახვები“ ჰქონდეთ, რადგან ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში აგრესიისათვის ბევრი მიზეზი არსებობს. ამდენად, განზრახვების „გაურკვევლობა“ დიდი ძალების ქმედებებზე ზემოქმედებს.

4. გადარჩენა სახელმწიფოთა მთავარ მიზანს წარმოადგენს. კერძოდ, დიდი ძალები ცდილობენ ტერიტორიული მთლიანობისა და შიდა პოლიტიკური რეჟიმის დაცვას.

5. დიდი ძალები რაციონალური აქტორები არიან, რაც გულისხმობს იმას, რომ ძლიერი სახელმწიფოები ითვალისწინებენ მათი სტრატეგიის „უკუშედეგებს“ და სხვა ქვეყნების პრიორიტეტებს. გარდა ამისა, ძლიერი სახელმწიფოები გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღებას ამახვილებენ მათი ქმედებების მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებზე (Mearsheimer, 2001, გვ. 29-32).

აღნიშნული პოსტულატებიდან გამომდინარეობს, რომ დიდი ძალები მოქმედებენ მუდმივი შიშის ფონზე. სხვაგვარად, დიდ ძალებს შორის ნდობის საკმაოდ დაბალი დონეა. აღნიშნული შიშის პატერნი გამოწვეულია ე.წ. „911“-ის პრობლემით, რაც გულისხმობს ცენტრალური ხელისუფლების არარსებობას. შიშს ემატება სხვა სახელმწიფოების განზრახვებში გაურკვევლობა და თვითდახმარების მიზანი, რის შედეგადაც, დიდი ძალები რწმუნდებიან, რომ ისინი, პოტენციური საფრთხის პრევენციისათვის, უნდა გაძლიერდნენ. თუმცა, ამ შემთხვევაში, მათთვის პრიორიტეტულია არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი ძლიერება (Mearsheimer, 2001, გვ. 32-36).

დიდი ძალებისათვის უმთავრესი მიზანი არის გადარჩენა, რის გამოც ისინი სისტემის ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები უნდა გახდნენ. ამდენად, დიდი ძალები ჰეგემონიისაკენ



მისწრაფვიან. ჰეგემონი სახელმწიფო დომინირებს სხვა აქტორებზე. დიდი ძალისათვის ჰეგემონიის ორი დონე არსებობს: რეგიონული და გლობალური. ჯ. მირშაიმერი რეგიონული ჰეგემონიის მიღწევას უფრო რეალურ მიზნად მიიჩნევს, რადგან გლობალური მასშტაბით ჰეგემონობა რთულია (Mearsheimer, 2001, გვ. 40-42).

დიდ ძალებს შესაძლოა, რომ გადარჩენის გარდა სხვა მიზნებიც ამოძრავებდეთ. მაგალითად, ისინი შესაძლოა მიზნად ისახავდნენ ეკონომიკური ზრდასა და განვითარებას. თუმცა ყოველივე სხვა მიზანი ირიბად ან არაპირდაპირ უკავშირდება გადარჩენისაკენ მისწრაფებას (Mearsheimer, 2001, გვ. 46-48). ამიტომ ჯ. მირშაიმერი გამოყოფს ორი სახის ძალას: სამხედრო და არა-სამხედრო, ე.წ პოტენციური/ფარული ძალა. ფარული ძალა მოიცავს სოციალურ და ეკონომიკურ ძლიერებას. მირშაიმერის მიხედვით, ფარული ძალაც საბოლოოდ სამხედრო ძალად იქცევა (Mearsheimer, 2001, გვ. 55-60).

ჯ. მირშაიმერი მიიჩნევს, რომ დიდ ძალებს ამოძრავებს ოთხი მთავარი მიზანი:

- ძლიერ სახელმწიფოებს სურთ რეგიონული ჰეგემონია. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დიდ ძალას მსოფლიოზე დომინირება სურს, ეს მიზანი ნაკლებად შესრულებადია. რეგიონული ჰეგემონიის გარდა, დიდი ძალების ინტერესებშია მათი რეგიონის მიღმა გეოგრაფიულ არეალებში ჰეგემონის არარსებობა. სხვა რეგიონებში ჰეგემონი სახელმწიფოს არსებობა აუცილებლად საფრთხეს შეუქმნის მოცემულ დიდ ძალას.
- დიდ ძალებს სურთ მსოფლიოს მდიდარი რეგიონების კონტროლი და მათ მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების გაზრდა. ამდენად, დიდი ძალები ცდილობენ მდიდარი გეოგრაფიული არეალების გაკონტროლებას, რათა ხელი შეუწყონ საკუთარ ეკონომიკურ ზრდას. თავის მხრივ, ეკონომიკური განვითარება სამხედრო ძლიერების საფუძველს წარმოადგენს.
- ჯ. მირშაიმერი სამხედრო ძალებს შორის პრიორიტეტულად მიიჩნევს სახმელეთო ძალებს. ამდენად, ავტორის თანახმად, დიდი ძალები ცდილობენ სახმელეთო ძალის

გაზრდას და მათი (სახმელეთო ძალების) მხარდამჭერი საჰაერო თუ საზღვაო ძალების გაძლიერებას.

- ჯ. მირშაიმერი მსოფლიო ჰეგემონიის მიღწევის იდეალურ სამუალებად მიიჩნევს ბირთვული უპირატესობის მოპოვებას. ამიტომ ავტორი ამ უკანასკნელი ძალის ინსტრუმენტის მნიშვნელობაზე დიდ აქცენტს აკეთებს. შესაბამისად, ჯ. მირშაიმერის მიხედვით, სამხედრო თვალსაზრისით შეფარდებითი უპირატესობა, ბირთვული უპირატესობის მოპოვების შედეგად გარდაუვალი იქნება (Mearsheimer, 2001, გვ. 140-146).

საბოლოოდ, ჯონ მირშაიმერი აღნიშნავს, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში, სახელმწიფოები კვლავ ანარქიული საერთაშორისო სისტემის ფარგლებში ოპერირებენ. შესაბამისად, მათ ქმედებებს ისევ შიშისა და გადარჩენის პატერნი განსაზღვრავს (Mearsheimer, 2001, გვ. 360). აღსანიშნავია, რომ თავდასხმითი რეალიზმი არ გამორიცხავს დიდ ძალებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას, თუმცა, ჯ. მირშაიმერის მიხედვით, თანამშრომლობითი ურთიერთქმედება შიშის, გაურკვევლობისა და ანარქიული საერთაშორისო სისტემის გამო საკმაოდ შეზღუდულია (Mearsheimer, 2001, გვ. 51-53).

### თავი III. საკითხის ისტორიული მიმოხილვა

წინამდებარე თავი მიზნად ისახავს საკვლევი თემისა და საკითხის ისტორიული საფუძვლების წარმოჩენას. შესაბამისად, ნაშრომის ამ ნაწილში მიმოხილულია ირან-საუდის არაბეთის, ირან-ჩინეთის და ჩინეთ-საუდის არაბეთის ურთიერთობების დინამიკა. ამასთანავე, ბოლო ქვეთავში წარმოდგენილია თეირან-რიადის დაპირისპირებასთან მიმართებით სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური სტრატეგია.

#### 3.1 ირან-საუდის არაბეთის ურთიერთობები

ირანსა და საუდის არაბეთს შორის თანამედროვე ურთიერთობების საფუძვლები ირანის ისლამურ რევოლუციას უკავშირდება. 1979 წლამდე რეგიონულ ძალებს შორის არსებული ვითარება კი, რადიკალურად განსხვავდებოდა დღევანდელი სიტუაციისაგან.

რევოლუციამდე ამ ორ რეგიონულ მოთამაშეს შორის პოტენციურ მეტოქეობას აბრკოლებდა რიგი გარემოებები. კერძოდ, თითოეული მონარქია დასავლური ძალების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. გარდა ამისა, 1960-იან წლებში სპარსეთის ყურეში ამ ორი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კოორდინაციას ხელს უწყობდა საერთო საფრთხის აღქმა: ორმხრივად აღქმული საფრთხე მომდინარეობდა ეგვიპტის მმართველი აბდულ ნასერისაგან. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ამ პერიოდში საუდის არაბეთმა და ირანმა მოაგვარეს პოტენციურად საკამათო საკითხები. თუმცა ურთიერთობებს აფერხებდა გარკვეული შეზღუდვები. მაგალითისათვის, 1970-იან წლებში ირანის მიერ რეგიონის ქვეყნების საერთო უსაფრთხოებისათვის თანამშრომლობისაკენ მობილიზაციის დროს, საუდის არაბეთი ამ ინიციატივას ეჭვის თვალით უყურებდა. ამ უკანასკნელს ასეთივე არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა, როდესაც ირანსა და მის მეზობლებს (ომანსა და დუბაის) შორის არსებული კავშირები იზრდებოდა (Chubin & Tripp, 2014, pp. 16-22).

1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად ირანის საგარეო პოლიტიკური კურსი რადიკალურად შეიცვალა. აღნიშნულმა ცვლილებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა

ისლამურ რესპუბლიკასა და საუდის არაბეთს შორის არსებულ ურთიერთობებზე. ამდენად, თეირანი აღარ იზიარებდა მოსაზრებას, რომ ისლამური სამყაროს ლიდერი რიადი იყო. თუმცაღა, რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ირანისა და საუდის არაბეთის ურთიერთობებს მტრული სახე მყისიერად არ მიუღია. მაგალითისათვის, 1979 წლის ივლისში რევოლუციური ირანის პირველი პრემიერ მინისტრი, მაჰდი ბაზარგანი შეხვდა საუდის არაბეთის დელეგაციას. გარდა ამისა, პოსტ-რევოლუციური პერიოდის ადრეულ ეტაპზე მეფე ხალიდმა განაცხადა, რომ ისლამური რევოლუცია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების წინსვლას შეუწყობდა ხელს (Hadzikadunic, 2019, pp. 7-8).

ირანის პირველი პრემიერ-მინისტრის ზომიერი პოლიტიკა მალევე დაჩრდილა რადიკალურმა ტენდენციებმა, რომლებმაც თეირანში იჩინა თავი. 1979 წლის 4 ნოემბერს ისლამისტები თავს დაესხნენ აშშ-ს საელჩოს და 52 ამერიკელი მძევლად აიყვანეს. ამ შემთხვევაში, შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის დამაბულობამ ირიბად იმოქმედა თეირან-რიადის ურთიერთობებზე. საუდის არაბეთსა და აშშ-ს შორის კონსენსუსი გააძლიერა 1979 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში ინტერვენციამ. როგორც პროდასავლურად განწყობილი ძალა, რიადი ავღანეთში საბჭოთა წინააღმდეგ აშშ-ს პოზიციას უჭერდა მხარს. ამასობაში, აიათოლა ხომეინის რიტორიკა და რევოლუციური მისწრაფებები გავლენას ახდენდა სხვა ქვეყნებში, მათ შორის საუდის არაბეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, მცხოვრებ შიიტ უმცირესობებზე (Keynoush, 2016, pp. 109-113).

1980 წელს ერაყთან დაწყებული ომი ირანმა აღიქვა, როგორც ერაყისა და მისი მოკავშირე არაბული თუ დასავლური ძალების მიერ ისლამური რევოლუციის დათრგუნვის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის განმავლობაში, საუდის არაბეთი მხარეებს მედიაციისაკენ მოუწოდებდა. ამასთანავე, რიადი სარგებლობდა რეგიონში არსებული დამაბულობა სიტუაციით. ამგვარად, საუდის არაბეთი ამ პერიოდში დაუახლოვდა ყურის არაბულ ქვეყნებს, რის შედეგადაც შეიქმნა ყურის თანამშრომლობის საბჭო (რომლის წევრებსაც ირანი და ერაყი არ წარმოადგენდნენ). თეირანმა აღნიშნული

ორგანიზაცია არაბეთის ნ.კ-ზე რიადის დომინაციის საშუალებად აღიქვა (Chubin & Tripp, 2014, pp. 18-22).

1987 წლის 31 ივლისს ჰაჯის დროს საუდის არაბეთის სამხედრო ნაწილები თავს დაესხნენ ირანელ პილიგრიმებს. თეირანის განცხადებების მიხედვით, შემთხვევის შედეგად, 400 ირანელის სიცოცხლეს მოელო ბოლო. დამაბულობის კულმინაციის წერტილს წარმოადგენდა 1988 წელი, როდესაც საუდის არაბეთსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა (Keynoush, 2016, გვ. 122-123).

ირან-ერაყის ომის დასრულებისა და აიათოლა ხომეინის გარდაცვალების შედეგად თეირანსა და რიადს შორის ურთიერთობების ახალი ეტაპი დაიწყო. 1991 წლიდან საუდის არაბეთმა და ირანმა აღადგინეს დიპლომატიური ურთიერთობები. ამ მოვლენას თან ახლდა ირანის ოფიციალური წარმომადგენლების (მაგალითად, 1991 წელს პრეზიდენტ რაფსანჯანის, 1992 წელს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის, ალი აქბარ ველაიეთის) ოფიციალური ვიზიტები რიადში. მიუხედავად ეკონომიკური ურთიერთქმედებისა და კულტურული კავშირების აღდგენისა, ქვეყნებს შორის დამაბულობის შემცირებას აბრკოლებდა რიგი ფაქტორები. საუდის არაბეთის ყურის ომის შემდგომი ეკონომიკური შეზღუდვები და ორმხრივი უნდობლობა ხელს უშლიდა ურთიერთობების გაღრმავებას. ამას ემატებოდა ირან-ბაჰრეინის დამაბულობა ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენდა რიადისათვის (Keynoush, 2016, pp. 131-133).

1997 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ხათამის გამარჯვებამ ხელი შეუწყო მიმდინარე ტენდენციას საუდის არაბეთთან დეტანტის შესახებ. 1997 წელს ირანი გახდა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის 11-ე სამიტის მასპინძელი ქვეყანა. 1998 წელს საუდის არაბეთში ყოფილი პრეზიდენტის, რაფსანჯანის ვიზიტმა კიდევ უფრო გაამყარა მისი პირადი კავშირები ამირ აბდულაჰთან, რამაც შემდგომში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე. 1999 წელს თეირანს ეწვივნენ საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები (Keynoush, 2016, pp. 142-147).

თეირან-რიადის დაახლოების პროცესის კულმინაციას წარმოადგენდა 2001 წელს თეირანში ხელმოწერილი შეთანხმება უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით. თუმცა ურთიერთობების გაღრმავების პროცესს ხელს უშლიდა საუდის მიერ გას-ის (გაერთიანებული არაბული საამიროების) მხარდამჭერი პოლიტიკა და ირანთან სანავთობო სექტორში კონკურენცია (Keynoush, 2016, p. 150).

საუდის არაბეთისა და ირანის ურთიერთობების დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა 2001 წელს განვითარებულმა მოვლენებმა. ამ პერიოდიდან, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პირობებში, ირან-აშშ-ს შორის არსებულმა დაძაბულობამ შეაფერხა თეირან-რიადის დაახლოების პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულმა მათგანმა 2003 წელს აშშ-ს სამხედრო ინტერვენცია ერაყში უარყოფითად აღიქვა, 2003 წლის შემდგომ ვითარებაზე თეირანსა და რიადს განსხვავებული ხედვები ჰქონდათ. ერაყში ბაასის რეჟიმის ჩამოშლა ხელს უწყობდა ერაყელ შიიტებსა და ირანს შორის კავშირების გაზრდას, რაც არ შედიოდა საუდის არაბეთის ინტერესებში, რომელიც სუნიტი უმრავლესობის მომხრე იყო (Keynoush, 2016, pp. 154-160).

სექტარიანულმა დაპირისპირებამ კვლავ იჩინა თავი და მნიშვნელოვანი დაღი დაასვა საუდის არაბეთისა და ირანის ურთიერთობებს. ამავდროულად, 2000-იან წლებში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გამომჟღავნებულმა ინფორმაციამ გააძლიერა რიადის მიერ ირანის მხრიდან მომდინარე საფრთხის აღქმა. შედეგად, ამ პერიოდიდან საფუძველი ჩაეყარა რეგიონული გავლენისათვის ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებზე. ამგვარად, ამ მეტოქეობამ ერთგვარი გამოხატულება ჰპოვა იემენში მიმდინარე კონფლიქტშიც (Sadeghi & Ahmadian, 2011, pp. 125-135).

საბოლოოდ, 2011 წლის არაბული გაზაფხულის შემდგომ, განსაკუთრებით სირიის სამოქალაქო ომის შედეგად, რეგიონში ირან-საუდის არაბეთის დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო. 2016 წლის 2 იანვარს რიადში ცნობილი შიიტი სასულიერო პირის, ნიმრ ალ-ნიმრის სიკვდილით დასჯას შედეგად მოჰყვა თეირანში საუდის არაბეთის საელჩოზე

თავდასხმა. 3 იანვარს საუდის არაბეთსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობები შეწყდა. 2016 წლის 29 მაისს ირანმა მოქალაქეებს აუკრძალა „ჰაჯის“ რიტუალისათვის საუდის არაბეთში გამგზავრება.

2021 წლის 9 აპრილს ბაღდადში დაიწყო პირდაპირი მოლაპარაკებები ირანსა და საუდის არაბეთს შორის. 2021 წლიდან 2022 წლამდე, ძირითადად ერაყისა და ომანის თაოსნობით, ჩატარდა მოლაპარაკებების 4 რაუნდი. საბოლოოდ, მოლაპარაკებების პროცესმა, 2022 წლის 9 დეკემბერს სი ძინჰინის საუდის არაბეთში ოფიციალური ვიზიტის შემდგომ, ჩინეთის მედიატორობით შედეგად გამოიღო 2023 წლის 11 მარტის რიად-თეირანის შეთანხმება დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ (Georgy, 2023).

### 3.2 ირან-ჩინეთის ურთიერთობები

სახალხო რესპუბლიკასა და ირანს შორის ურთიერთობები ჯერ კიდევ 1949 წლიდან დაიწყო. ცივი ომის პერიოდში, პეკინ-თეირანის ურთიერთკავშირი უმეტესწილად არსებული ბიპოლარული საერთაშორისო წესრიგით განისაზღვრებოდა. შაჰის ირანი პროდასავლური ორიენტაციის იყო. ამიტომ აშშ-ს მოკავშირე თეირანის კომუნისტურ ჩინეთთან ურთიერთქმედება შეზღუდული იყო (Idris & Razani, 2015, pp. 10-11).

1960-იან წლებში ჩინეთსა და სსრკ-ს შორის არსებულმა დაძაბულობამ თეირან-პეკინის ურთიერთობებში ახალ ეტაპს მისცა ბიძგი. სახალხო რესპუბლიკის, როგორც მეხუთე ბირთვული ძალის მნიშვნელობა ირანისათვის გაიზარდა. ამდენად, 1969 წლისათვის შაჰმა მხარი დაუჭირა ჩინეთის გაეროში გაწევრიანებას. თუმცა ამ პერიოდში თეირან-პეკინის ურთიერთობებს ზღუდავდა სახალხო რესპუბლიკის ანტი-დასავლური და რევოლუციური რიტორიკა. მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა, ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური/სავაჭრო კავშირები იზრდებოდა. შედეგად, 1960-იანი წლებისათვის ჩინეთთან ირანის არაოფიციალური ვაჭრობის მოცულობა 46 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა (Idris & Razani, 2015, გვ. 15).

1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებმა ახალი სახე მიიღო. აიათოლა ხომეინის ახალი ლოზუნგი - „არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი“ - გამორიცხავდა სახალხო რესპუბლიკასთან თანამშრომლობის შანსებს. თუმცა 1980-იან წლებში, ირან-ერაყის ომის პერიოდში, ჩინეთი აქტიურად აწვდიდა იარაღებს მეზობელ მხარეებს. ხომეინის გარდაცვალებამ და ომის დასრულებამ თავისებური გავლენა მოახდინა პეკინ-თეირანის ურთიერთობებზეც (Belal, 2020, გვ. 49-50).

1990-იან წლებში სახალხო რესპუბლიკის მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ და განვითარების ტემპებმა გაზარდა პეკინის ენერგოსაჭიროება, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო პეკინ-თეირანის ურთიერთობების ინტენსიფიკაციას. ჩინეთი გახდა ირანული ნავთობის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი. თავის მხრივ, ისლამური რესპუბლიკის საერთაშორისო იზოლაციამ, ეს უკანასკნელი ჩინეთზე დამოკიდებული გახადა. 2000-იან წლებში კი, ჩამოყალიბდა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც დღესდღეობით თეირან-პეკინის ურთიერთობებს ახასიათებს (Harold & Nader, 2012, pp. 4-5). თანამშრომლობითი ურთიერთობების გაზრდის ერთ-ერთი ინდიკატორი იყო თეირანსა და პეკინს შორის 2021 წლის 27 მარტს ხელმოწერილი „ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის“ 25 წლიანი ხელშეკრულება (Fassih & Myers, 2021).

### 3.3 ჩინეთ-საუდის არაბეთის ურთიერთობები

ჩინეთსა და საუდის არაბეთს შორის თანამედროვე ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა 1939 წელს, როდესაც რიადმა პეკინთან პოლიტიკური კავშირები დაამყარა. 1946 წელს ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და მშვიდობიანი ურთიერთობების შესახებ. 1949 წელს ჩინეთში კომუნისტური რეჟიმის დამყარების მიუხედავად, პეკინ-რიადის ურთიერთობები გრძელდებოდა (Tamimi, 2012, pp. 2-3).

1970-იანი წლებიდან ჩინეთ-საუდის არაბეთის ურთიერთობები სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდებოდა. 1970-იან წლებში ვითარდებოდა კულტურული კავშირები - ჩინელი პილიგრიმები მექაში ასრულებდნენ ჰაჯის რელიგიურ რიტუალს.



1980-იან წლებში გაიზარდა ჩინური საქონლის ექსპორტი საუდის არაბეთის ბაზარზე. ამავე პერიოდში, პეკინსა და რიადს შორის დაიწყო ვაჭრობა სამხედრო სფეროში - სახალხო რესპუბლიკა საუდის არაბეთს რაკეტებს აწვდიდა. 1990 წელს აღნიშნულ ქვეყნებს შორის ფორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს ჩაეყარა საფუძველი. ამ პერიოდში ურთიერთობების ინტენსიფიკაციის მაჩვენებელს წარმოადგენდა აღნიშნულ ქვეყნებს შორის განხორციელებული ოფიციალური ვიზიტები. ამ მხრივ აღსანიშნავია 1999 წელს ძიანგ წემინის და 2006 წელს მეფე აბდულაჰის ვიზიტი (Tamimi, 2012, გვ. 4-6).

2005 წლიდან ჩინეთსა და საუდის არაბეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაიზარდა. ამდენად, 2009 წლისათვის საუდის არაბეთის ნავთობის ერთ-ერთ მთავარ იმპორტიორს სახალხო რესპუბლიკა წარმოადგენდა. გარდა ამისა, პეკინი რიადის საექსპორტო პროდუქციისათვის მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენდა (Cengiz, 2020, გვ. 56-58).

2016 წელს საუდის არაბეთმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას, რომლის იმპლემენტაციის პროცესიც მალევე დაიწყო. 2022 წლის დეკემბერში სი ძინპინმა საუდის არაბეთში განახორციელა სამდღიანი სახელმწიფო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც მხარეები შეთანხმდნენ სტრატეგიული ურთიერთობებისა და კომერციული კავშირების გაფართოების შესახებ (Radwan, 2022).

3.4 ჩინეთის ფაქტორი ირან-საუდის არაბეთის ურთიერთობებში  
ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებული დაძაბულობა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაზე 2000-იან წლებამდე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა. ეს შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საუდის არაბეთსა და სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობებმა მხოლოდ 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულიდან მიიღო ინტენსიური ხასიათი (Cengiz, 2020, pp. 56-58).

ახლო აღმოსავლეთში მზარდი ეკონომიკური ინტერესების ფონზე, ირანსა და საუდის არაბეთს შორის არსებული რეგიონული დაპირისპირება სახალხო რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. ამდენად, 2013 წელს „სარტყლისა და გზის“ პროექტის ინიცირების შემდგომ, ჩინეთი ცდილობდა კეთილგანწყობილი ურთიერთობები შეენარჩუნებინა როგორც თეირანთან, ისე რიადთან. ამდენად, ამ პერიოდში, ჩინეთის საგარეო პოლიტიკა დაპირისპირებული მხარეებისადმი დამაბალანსებელ მიდგომას ითვალისწინებდა (Acar, 2022, pp. 201-203).

ირან-საუდის არაბეთს შორის არსებული დამაბულობის ფონზე, ჩინეთის დამაბალანსებელ საგარეო პოლიტიკურ კურსს ცხადყოფს რიგი ფაქტები. 2016 წელს სახალხო რესპუბლიკამ ორივე ქვეყანასთან გააფორმა „სტრატეგიული ყოვლისმომცველი პარტნიორობის“ შეთანხმება. აღნიშნული ხელშეკრულებით ახლო აღმოსავლეთში ირანი და საუდის არაბეთი, დიპლომატიური თვალსაზრისით, სახალხო რესპუბლიკის ყველაზე მაღალი რანგის მოკავშირეები გახდნენ. შემდგომში, 2019 წელს ჩინეთმა სამხედრო საზღვაო წვრთნები ჩაატარა როგორც საუდის არაბეთთან, ისე ჩინეთთან (Houghton, 2022, pp. 136-137). ასევე, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საუდის არაბეთმა გადაწყვიტა გაწევრიანებულიყო შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში (Yaakoubi, 2023). ამავდროულად, ირანმა 2022 წელს ხელი მოაწერა „ვალდებულებათა“ მემორანდუმს, რათა გამხდარიყო ხსენებული ორგანიზაციის წევრი ქვეყანა (Khan, 2022).

როგორც ცნობილია, აღნიშნული ორგანიზაცია 2001 წელს შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ (Nations, 2023). შესაბამისად, საუდის არაბეთისა და ირანის წევრობის საკითხის ერთსა და იმავე პერიოდში გააქტიურება პეკინის დამაბალანსებელი საგარეო პოლიტიკური კურსის მაჩვენებელია.

## თავი IV. ჩინეთის რეგიონული სტრატეგია და მიზნები

წინამდებარე თავში გამოკვლეულია სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური მიზნები და პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღება ეთმობა პეკინის „სარტყლისა და გზის“ ინიციატივას.

### 4.1 ჩინეთის სტრატეგია ახლო აღმოსავლეთში

ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და სტრატეგიის განსაზღვრას ართულებს ის ფაქტი, რომ სახალხო რესპუბლიკას ოფიციალურ დონეზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მტკიცე და ურყევი პოზიცია არ გააჩნია. ამდენად, არ არსებობს პეკინის მიერ კონკრეტულად ამ რეგიონთან მიმართებით „გაწერილი“ დოქტრინა ან დოკუმენტი. ამავდროულად, საყურადღებოა, რომ ჩინეთის 2019 წელს გამოქვეყნებულ ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს საზღვარგარეთ არსებული ინტერესების (კონკრეტულად კი, ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და მოქალაქეების) დაცვა (Office, 2019). შესაბამისად, კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა განისაზღვროს ის ძირითადი ინტერესები, რომლებიც რეგიონში ჩინეთისათვის არსებითი მნიშვნელობისაა. სახალხო რესპუბლიკის რეგიონული საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრის შედეგად, გამოიკვეთება ის ძირითადი მოტივები თუ ფაქტორები, რომლებმაც ჩინეთს უბიძგა საუდის არაბეთსა და ირანს შორის მედიაციის პროცესში ჩართვისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის 2016 წელს სახალხო რესპუბლიკის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმულია არაბულ ქვეყნებთან მიმართებით პეკინის საგარეო პოლიტიკური კურსი და მიზნები. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებს კონკრეტულ მითითებებს და მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპებით შემოიფარგლება. ამდენად, მასში არ არის მოცემული, თუ რა სახის პოლიტიკას

ითვალისწინებს სახალხო რესპუბლიკა ცალკეულ არაბულ ქვეყანასთან მიმართებით. საყურადღებოა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ჩინეთის რეგიონული სტრატეგიის პრიორიტეტების განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რის გამოც, მასში ირანის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არ უგულებელყოფს წინამდებარე თავში მოცემულ დასკვნებს.

„არაბული პოლიტიკის“ დოკუმენტში პეკინი, საწყის ეტაპზე, ხაზს უსვამს ნარატივს, რომლის თანახმადაც არაბულ ქვეყნებსა და ჩინეთს შორის არსებული ურთიერთობები ღრმა ისტორიულ საფუძვლებს ეყრდნობა. კერძოდ, მხარეებს ოდითგანვე აკავშირებდა „აბრეშუმის გზა“. გარდა ისტორიული ნარატივისა, ყურადღებას იპყრობს პეკინის ანტი-იმპერიალისტური რიტორიკა, რომლის მეშვეობითაც, სახალხო რესპუბლიკა გამოკვეთს ჩინეთისა და არაბული სამყაროს საერთო „წარსულ გამოწვევებს“. სახალხო რესპუბლიკა არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობებს წარმოადგენს, როგორც სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის მაგალითს (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). ამდენად, სახალხო რესპუბლიკა აღნიშნული რიტორიკით აქცენტს აკეთებს პეკინსა და დასავლურ სახელმწიფოებს შორის არსებულ კონტრასტზე. სხვა სიტყვებით, ჩინეთის მიერ გამოყენებული ნარატივი მიაჩნებს ამ უკანასკნელის მცდელობაზე, რომ მაქსიმალურად გაემიჯნოს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩართულ დიდ ძალებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სი ძინპინის 2016 წლის 21 ივნისის გამოსვლა, რომლის ფარგლებშიც პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩინეთი ახლო აღმოსავლეთში დაინტერესებულია არა გავლენის სფეროებით, არამედ ეკონომიკური თანამშრომლობით. ამდენად, სი ძინპინმა ქვეყნებს მოუწოდა „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის „მეგობრების წრეს“ შეუერთდნენ (China, 2016). შესაბამისად, ეს რიტორიკა მიზნად ისახავს არაბული ქვეყნებისათვის პეკინის, როგორც სანდო პარტნიორის იმიჯის შექმნას.

აღსანიშნავია, რომ არაბულ დოკუმენტში სახალხო რესპუბლიკა აცხადებს მის მზადყოფნას რეგიონში „მშვიდობისა და სტაბილურობის“ უზრუნველსაყოფად. თუმცა, დასავლური მიდგომისგან განსხვავებით, ჩინეთი რეგიონული უსაფრთხოების ხელშესაწყობად „განვითარების“ მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს. ამდენად, დოკუმენტში „მშვიდობა“ ან „სტაბილურობა“ ხშირად „განვითარებასთან“ ერთად არის მოხსენიებული (Council T. S.,

China's Arab Policy Paper, 2016). ეს ტენდენცია ხაზს უსვამს ჩინეთის განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს შემდეგს: სახალხო რესპუბლიკა რეგიონში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიიჩნევს არა დასავლურ კონცეფციებს (როგორცაა დემოკრატიული ღირებულებები), არამედ კონფლიქტურ ზონებში არსებული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. სახალხო რესპუბლიკის ხსენებულ მიდგომას ცხადყოფს სი ძინპინის გამოსვლებიც. 2016 წელს არაბული სახელმწიფოების ლიგის შტაბ-ბინაში გამართულ შეხვედრაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთი „ბარაქის მიწა“, თუმცა რეგიონში არასტაბილურობის გამომწვევი კონფლიქტების აღმოსაფხვრელად საჭიროა განვითარების ხელშეწყობა (China, 2016).

აღნიშნულ დოკუმენტში, ისევე, როგორც სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლების გამოსვლებში, ხშირად კეთდება აქცენტი „მშვიდობიანი თანაცხოვრების“ ხუთ პრინციპზე. პეკინი აცხადებს, რომ არაბულ სამყაროსთან მისი ურთიერთობები ეფუძნება შემდგომ საფუძვლებს: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი ორმხრივი პატივისცემა, ურთიერთობებში აგრესიულობის დაგმობა, შიდა საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა, ორმხრივი სარგებელი (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). ამ პრინციპთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა საქმეებში ჩაურევლობა. დოკუმენტის მიხედვით, პეკინი მხარს უჭერს არაბული სახელმწიფოების ძალისხმევას, რომ აღმოფხვრან მათ შიდა საქმეებში „საგარეო ჩარევები“ (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). საყურადღებოა, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან შეხვედრების დროს, სი ძინპინი ხშირად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ჩინეთი პატივს სცემს პარტნიორების სუვერენიტეტს (Region, 2018). ამ რიტორიკით პეკინი ცდილობს გაემიჯნოს დასავლურ სახელმწიფოებს (განსაკუთრებით, აშშ-ს), რომლებიც ხშირად აკრიტიკებენ არაბულ სახელმწიფოებს (და ასევე, სახალხო რესპუბლიკას) ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

აღსანიშნავია, რომ შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი ორმხრივია. კერძოდ, არაბული ქვეყნებიც ჩინეთთან მიმართებით აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებენ. ამდენად, სახალხო რესპუბლიკა „არაბული პოლიტიკის“ დოკუმენტში აღნიშნავს, რომ

დერადიკალიზაცია და ტერორიზმის/ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩინეთისა და არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი გამოხატულებას ჰპოვებს გაეროში რიგ საკითხებთან დაკავშირებით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოზიციებშიც. მაგალითისათვის, 2022 წელს რეგიონის რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის, ირანმა, ერაყმა, სირიამ და საუდის არაბეთმა, სინჯიანგის პროვინციისადმი ჩინეთის შიდა პოლიტიკის შესახებ გაეროს მიერ გამოქვეყნებული კრიტიკული ანგარიშისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს. ამავდროულად, 2019 წელს ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 12 სახელმწიფომ გაეროში ადამიანის უფლებათა საბჭოს წინაშე ხაზი გაუსვა ჩინეთის „მნიშვნელოვან მიღწევებს“ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებში (Blanchard, et al., 2023, p. 11). შესაბამისად, ისლამური სახელმწიფოების, მათ შორის საუდის არაბეთისა და ირანის, მხარდაჭერა (უიღურებთან მიმართებით) ჩინეთის რეპრესიულ შიდა პოლიტიკას უფრო მეტ ლეგიტიმურობას სძენს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული დოკუმენტი ჩინეთსა და არაბულ ქვეყნებს თანაბარ ძალეზად მოიხსენიებს. კერძოდ, პეკინი საკუთარ თავს ყველაზე დიდ განვითარებად ქვეყნად ასახელებს და ამ რიტორიკით, ხაზს უსვამს სახალხო რესპუბლიკასა და განვითარებად არაბულ სამყაროს შორის არსებულ მსგავს „მახასიათებლებს“. საყურადღებოა, რომ დოკუმენტში ნახსენებია ჩინეთისა და არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის ფორუმი, რომელიც, პეკინის გადმოსახედიდან, მხარეთა ურთიერთობების გაღრმავების მანიშნებელია (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016).

ჩინეთი არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობებში ხაზს უსვამს 5 ძირითად მიმართულებას: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამხედრო. საყურადღებოა, რომ დოკუმენტში ყველაზე მეტად თანამშრომლობის სავაჭრო და საინვესტიციო კუთხით გაღრმავებაა ხაზგასმული (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). სი ძინპინი რეგიონის ქვეყნებთან შეხვედრების დროს ყოველთვის აქცენტს აკეთებს ჩინეთის „სარტყლისა და გზის“ პროექტისათვის პეკინსა და არაბულ სამყაროს შორის

თანამშრომლობის მნიშვნელობაზე. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2022 წლის 9 დეკემბერს რიადში გამართული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 21 ქვეყანა. ეს იყო ჩინეთისა და არაბული სახელმწიფოების პირველი სამიტი. სი ძინპინმა სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა ურთიერთობების ყველა იმ ძირითად ასპექტს, რომლებიც „არაბული პოლიტიკის“ დოკუმენტშია მოხსენიებული. ამავდროულად, სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამოხატა პეკინის სურვილი „სარტყლისა და გზის“ ინიციატივისათვის უფრო მეტი თანამშრომლობისადმი (China, President Xi Jinping Attends the First China-Arab States Summit and Delivers a Keynote Speech, 2022).

საყურადღებოა, რომ დოკუმენტში, არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობებში, სახალხო რესპუბლიკის პრიორიტეტებადაა დასახელებული მხარეებს შორის სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების გამოკვლევისას აკადემიურ წყაროებში ძირითადი ყურადღება სახალხო რესპუბლიკის არაბულ სამყაროსთან ეკონომიკურ ურთიერთობებს ეთმობა. თუმცადა, „არაბული პოლიტიკის“ დოკუმენტში პოლიტიკური და სამხედრო/უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ცალკე გამოკვეთა მიანიშნებს სახალხო რესპუბლიკის უფრო ამბიციურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე. კერძოდ, პეკინის რეგიონული სტრატეგია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან უფრო მჭიდრო და ყოვლისმომცველ ურთიერთობებს ისახავს მიზნად.

პოლიტიკური თანამშრომლობის კუთხით, აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნები მტკიცე მხარდაჭერას უცხადებენ სახალხო რესპუბლიკას გაეროში, ისეთ პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ტაივანი (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ ახლო აღმოსავლეთის არცერთ ქვეყანას, მათ შორის საუდის არაბეთსა და ირანს, არ აქვს ფორმალური დიპლომატიური ურთიერთობები ტაივანთან (Blanchard, და სხვ., 2023, გვ. 12). ამდენად, აღნიშნული სახელმწიფოები მხარს უჭერენ „ერთი ჩინეთის“ იდეას.

„არაბულ დოკუმენტში“, ასევე, ნათლად ჩანს სახალხო რესპუბლიკის ამბიციური ხედვა საერთაშორისო სისტემის შესახებ. კერძოდ, ჩინეთი არაბულ სახელმწიფოებს მიიჩნევს სანდო პარტნიორებად, რომლებიც პეკინს „ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების“ შექმნაში ხელს შეუწყობენ. „ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების“ კონცეფცია დოკუმენტში ხშირად მეორდება (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს პეკინის მისწრაფებას, რომ არსებულ საერთაშორისო წესრიგს „ჩინური“ ალტერნატივები/კონცეფციები დაუპირისპიროს. ამ მხრივ, საყურადღებოა სი ძინპინის რიტორიკაც. ამდენად, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-20 ეროვნულ კონგრესზე პრეზიდენტმა აქცენტი გააკეთა სახალხო რესპუბლიკის მიერ „ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების“ შესაქმნელად განხორციელებულ აქტიურ პოლიტიკაზე (Jinping, 2022).

4.2 „სარტყლისა და გზის ინიციატივა“ და „1+2+3“ თანამშრომლობის მოდელი 2013 წელს, ყაზახეთსა და ინდონეზიაში ოფიციალური ვიზიტების დროს, სი ძინპინი გამოვიდა „ერთი გზა, ერთი სარტყლის“ ინიციატივით, რომელსაც 2015 წლიდან მოიხსენიებენ, როგორც „სარტყლის და გზის ინიციატივას“ (“Belt and Road Initiative” – BRI). აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის დაკავშირებას მასშტაბური ინფრასტრუქტურული ქსელით. BRI-ს ფარგლებში განსაზღვრულია 6 ეკონომიკური კორიდორის შექმნა: ჩინეთი-მონღოლეთი-რუსეთი, ახალი ევრაზიის სახმელეთო ხიდი, ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზია, ჩინეთი-პაკისტანი, ბანგლადეში-ჩინეთი-ინდოეთი-მიანმარი, ჩინეთი-ინდოჩინეთის ნახევარკუნძული (Sintusingha, Wu, Lin, Han, & Qin, 2021, p. 29). გეგმა მოიცავს სახმელეთო აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელს და საზღვაო აბრეშუმის გზას. პროექტით დაინტერესდა 140-ზე მეტი ქვეყანა (McBride, Berman, & Chatzky, 2023).

2014 წელს სი ძინპინმა არაბულ ქვეყნებს შესთავაზა „1+2+3“ თანამშრომლობის მოდელი (McBride, Berman, & Chatzky, 2023). აღნიშნული ინიციატივა ხაზგასმულია 2016 წლის



„არაბულ დოკუმენტშიც“ და მიზნად ისახავს BRI-ს პროექტში არაბული ქვეყნების ჩართულობის წახალისებას (Council T. S., China's Arab Policy Paper, 2016). მოდელი გულისხმობს, რომ ჩინეთისა და არაბული ქვეყნების ურთიერთობების ფოკუსს წარმოადგენს თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში, პრიორიტეტული მიზნებია ინფრასტრუქტურის, ვაჭრობის და ინვესტიციების ხელშეწყობა და განსაზღვრულია 3 მაღალტექნოლოგიური სექტორის („ბირთვული ენერჯის“, „საავიაციო სატელიტების“ და „ახალი ენერჯის“) განვითარება (Shiwei, 2022).

აღსანიშნავია, რომ სი ძინპინი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან შეხვედრების დროს, „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის რეგიონულ მნიშვნელობას ხსნის იმით, რომ აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს სტაბილურობასა და მშვიდობას (China, 2016). თუმცადა, გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ სახალხო რესპუბლიკამ “BRI”-ს იმპლემენტაციისათვის სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ქსელების შენება და ინვესტიციების დაბანდება დაიწყო. შესაბამისად, ცხადია, რომ ამ ინიციატივის რეალიზაციაც ახლო აღმოსავლეთში სტაბილური ვითარების არსებობაზეა დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის განხორციელების პროცესი შეფერხდება.

#### 4.3 BRI და საუდის არაბეთი

2013 წელს ინიცირებული „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის შემდგომ 2016 წელს საუდის არაბეთმა გამოაცხადა ეკონომიკური რეფორმების ახალი გეგმა, ე.წ „ხედვა 2030“, რომელიც მიზნად ისახავს საუდის არაბეთის ეკონომიკის დივერსიფიკაციას. მოგვიანებით, რიადმა და პეკინმა გადაწყვიტეს ამ ორი გეგმის (BRI-ს და „ხედვა 2030-ის“) კოორდინაცია (Juan, Meng, & Shaobiao, 2018, p. 364). ამდენად, 2016 წელს საუდის არაბეთსა და ჩინეთს შორის ხელმოწერილ იქნა „ურთიერთგაგების მემორანდუმი“, რომელიც „სარტყლისა და გზის ინიციატივისათვის“ თანამშრომლობის გაზრდას ისახავდა მიზნად. 2017 წელს, პეკინში,

მეფე სალმან ბინ აბდულაზიზის ვიზიტის ფარგლებში, მიღწეულ იქნა 21 შეთანხმება BRI-სთან დაკავშირებით (Chen, 2021, p. 7).

„სარტყლისა და გზის“ ინიციატივაში საუდის არაბეთის როლის მნიშვნელობას ცხადყოფს ამ უკანასკნელის მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა და ენერგეტიკული რესურსები. კერძოდ, რეგიონში საუდის არაბეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც გასასვლელი აქვს როგორც სპარსეთის ყურეზე, ასევე, ქვეყანა ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთის 7 ქვეყანას. ამიტომ რეგიონის სტაბილურობის დაცვისა და შესაბამისად, BRI-ს პროექტის განხორციელებისათვის საუდის არაბეთის როლი მნიშვნელოვანია (Fulton, 2020, pp. 6-7).

2022 წლის პირველი ნახევრისთვის საუდის არაბეთი, „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში, იყო ყველაზე მეტი ჩინური ინვესტიციების (5,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების) მიმღები ქვეყანა. აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთის „ხედვა 2023-ის“ გეგმამ შექმნა ხელსაყრელი ვითარება BRI-სთვის, რამდენადაც რიადს დაგეგმილი ეკონომიკური რეფორმებისათვის უცხოური პირდაპირი ინვესტიციები სჭირდება. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბერში საუდის არაბეთი და სახალხო რესპუბლიკა შეთანხმდნენ, რომ „სარტყლისა და გზის“ პროექტში ჩართული ქვეყნებისათვის ნავთობის მიწოდებისა და მოთხოვნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ (Syed, 2022).

2022 წლისათვის ჩინეთის მიერ სპარსეთის ყურის ქვეყნებში, „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში, დაბანდებული ინვესტიციების ღირებულებამ 9,3 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ამავე წლისათვის BRI-სთვის საუდის არაბეთი გახდა მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა, რამდენადაც ამ უკანასკნელში ჩინური ინვესტიციების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (Gibbon, 2023).

#### 4.4 BRI და ირანის ისლამური რესპუბლიკა

ირანი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო „სარტყლისა და გზის“ ინიციატივისათვის მნიშვნელოვან პარტნიორს წარმოადგენს. ამდენად, ისლამური

რესპუბლიკა პოტენციური მონაწილეა პროექტით გათვალისწინებული რამდენიმე ეკონომიკური კორიდორის. ამიტომ ჩინეთი ირანის ენერგეტიკულ სექტორში 180 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიციების დაბანდებას აპირებს. პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში ქვეყანა შეძლებს 12 მილიონი ტონა საქონლის გადაზიდვას. „სარტყლის და გზის“ ინიციატივის ფარგლებში იგეგმება გარმსარ-ინჩებორონის, თეირან-მამჰადის რკინიგზის და სხვა ინფრასტრუქტურული ქსელების შექმნა (Sintusingha, Wu, Lin, Han, & Qin, 2021, გვ. 210-212).

აღსანიშნავია, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთქმედების დინამიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისლამურ რესპუბლიკაზე დაწესებული საერთაშორისო სანქციები. მაგალითისათვის, 2016-2017 წლებში, (იმ პერიოდში, როდესაც ბირთვულ საკითხთან დაკავშირებით ირანთან შეთანხმების მიღწევის შედეგად, ამ უკანასკნელზე საერთაშორისო წნეხი შემცირდა) ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის ინვესტიციების მეორე ყველაზე დიდი მიმღები იყო ირანი (Madani, 2022, pp. 63-64).

2016 წელს ჩინეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს. შედეგად, ამ პერიოდიდან თეირანი ოფიციალურად ჩაერთო „სარტყლისა და გზის“ ინიციატივაში (Hong, 2021). შემდგომში, 2021 წელს ჩინეთსა და ირანს შორის მიღწეულ იქნა 25 წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. შეთანხმების მიხედვით, სახალხო რესპუბლიკა 280 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიციებს დააბანდებს ირანის ისეთ ეკონომიკურ სექტორებში, როგორცაა ტრანსპორტი, ნავთობქიმიკატები, ენერგეტიკული რესურსები და სხვა (Madani, 2022, p. 65).

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის თანამშრომლობის ხელშეკრულებამ ირანში (და ასევე, გლობალურ დონეზე) დიდი მოლოდინები გამოიწვია, რეალურად მისი იმპლემენტაციის პროცესი გაცილებით უფრო პასიური ტენდენციით გამოირჩევა. ამდენად, 2022 წლისათვის ისლამურ რესპუბლიკაში ჩინური კომპანიების ინვესტიციების ღირებულება მხოლოდ 185 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა (რომელიც საუდის არაბეთის აღნიშნულ მაჩვენებელზე

გაცილებით ნაკლებია). შესაბამისად, ირან-ჩინეთის ურთიერთობებს მნიშვნელოვნად ზღუდავს რიგი ფაქტორები, მათ შორის, ისლამურ რესპუბლიკაზე დაწესებული საერთაშორისო სანქციები და ბირთვული საკითხის გადაუჭრელობა (Burton, 2023).

## თავი V. სტრატეგიული მეტოქეობა

ბოლო წლებში აშშ-სა და ჩინეთს შორის სტრატეგიული მეტოქეობის კონცეფცია სულ უფრო აქტუალურ ხასიათს იძენს. აღნიშნულ ტენდენციას ცხადყოფს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკა. ამავდროულად, ტერმინი „სტრატეგიული მეტოქეობა/დაპირისპირება“ ორივე სახელმწიფოს ბოლოდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირადაა გამოყენებული.

### 5.1 სტრატეგიული მეტოქეობა აშშ-ს გადმოსახედიდან

2018 წლის გამოქვეყნებული აშშ-ს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია ცხადყოფს ზემოთ ხსენებული საკითხის აქტუალურობას. დოკუმენტის მიხედვით, 2018 წლიდან მოყოლებული, ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ საგარეო პოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენს არა საერთაშორისო ტერორიზმი, არამედ სახელმწიფოთა შორის არსებული სტრატეგიული მეტოქეობა. კერძოდ, ვაშინგტონისათვის პრიორიტეტულია ისეთი ავტორიტარული რეჟიმებისგან მომდინარე საფრთხე, როგორცაა რუსეთი და ჩინეთი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჩინეთი თავისი “მტაცებლური” ეკონომიკით აშინებს მის მოსაზღვრე ქვეყნებს. ამდენად, 2018 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგია აშშ-ს მთავარ პრიორიტეტად ასახელებს რეგიონული ძალთა ბალანსის შენარჩუნებას ახლო აღმოსავლეთში, ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში და დასავლეთ ნახევარსფეროში. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, აშშ გააძლიერებს რეგიონულ კოალიციებს, რათა ხსენებულ რეგიონებში არ დაუშვას ვაშინგტონისადმი ანტაგონისტურად განწყობილი ძალების დომინირება (Defense T. D., 2018).

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს 2017 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ხაზგასმულია შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ახლო აღმოსავლეთთან მიმართებით. ამდენად, ისევე, როგორც 2018 წლის დოკუმენტში, ამ შემთხვევაშიც, ვაშინგტონი რეგიონული უსაფრთხოებისათვის მთავარ გამოწვევად ასახელებს ირანს. ისლამური რესპუბლიკის მხრიდან მომდინარე საფრთხეების

აღმოსავლურად, აშშ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად ასახელებს რეგიონის რიგ ქვეყნებთან პარტნიორობის გაძლიერებას (House T. W., National Security Strategy of the United States of America, 2017).

მეორე მხრივ, აკადემიურ წრეებში არსებული მოსაზრება, რომ რეგიონში აშშ-ს მზადყოფნა უფრო პასიური ხდება, არ შეესაბამება შეერთებული შტატების ოფიციალური პირების მიერ გამოთქმულ ხედვებს. კერძოდ, 2022 წლის აგვისტოში ახლო აღმოსავლეთის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ, ბარბარა ლიფმა, თავის გამოსვლაში, ხაზი გაუსვა რეგიონის მნიშვნელობას აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისათვის. ლიფმა აღნიშნა, რომ რეგიონში სტაბილურობის ხელშემწყობი მთავარი აქტორი, 80 წლის განმავლობაში, შეერთებული შტატები იყო. სახელმწიფო მდივნის თანაშემწის სიტყვები მოწმობს, რომ აშშ თავის რეგიონულ როლს არ დაუთმობს ჩინეთს (Karam, 2022).

ზემოთ ხსენებული ეროვნული თავდაცვის და უსაფრთხოების დოკუმენტები დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში იქნა გამოქვეყნებული. თუმცადა, „სტრატეგიული მეტოქეობის“ კონცეფცია აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტის, ჯ. ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებშიც აქტუალურია. 2022 წელს გამოცემული აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან მოსალოდნელ საფრთხეზე მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება. კერძოდ, ჯ. ბაიდენი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო წესრიგის მომავალი დამოკიდებულია სტრატეგიული მეტოქეობის შედეგებზე. გარდა ამისა, პრეზიდენტის მიხედვით, ამჟამად აშშ დგას ორი ძირითადი სტრატეგიული გამოწვევის წინაშე: ჩინეთი და რუსეთი. დოკუმენტში ნახსენებია აღნიშნული ავტორიტარული ხელისუფლებების საგარეო პოლიტიკის „რევიზიონისტული“ ბუნება. სტრატეგიის თანახმად, შეერთებული შტატებისათვის ჩინეთი „ყველაზე მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური გამოწვევაა“. 2022 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, ჩინეთი არის აშშ-ს ერთადერთი მეტოქე, რომელიც ცდილობს საერთაშორისო წესრიგის შეცვლას და სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, ეკონომიკურ, დიპლომატიურ, სამხედრო და ტექნოლოგიურ რესურსებს მიმართავს. აღსანიშნავია, რომ, ისევე, როგორც 2018 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში, ამ დოკუმენტშიც მიჩნეულია, რომ

სახალხო რესპუბლიკა ეკონომიკური ინსტრუმენტებით ცდილობს მასზე მსოფლიოს დამოკიდებულების გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში ძირითადი აქცენტი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონზე კეთდება, აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისგან მოსალოდნელ გამოწვევებს გლობალური განზომილება გააჩნია. საბოლოოდ, პეკინთან მიმართებით აშშ-ს სტრატეგია მოიცავს შემდეგ საგარეო პოლიტიკურ კურსს: შეერთებულმა შტატებმა უნდა გააძლიეროს პარტნიორობთან კავშირები და სტრატეგიულ მეტოქეობაში, ჩინეთის გამოწვევის აღმოსაფხვრელად, ქვეყანა უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს (House T. W., National Security Strategy, 2022).

აღსანიშნავია, რომ შეერთებული შტატების 2022 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის თანახმად, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ჩინეთისგან მოსალოდნელი საფრთხისაგან აშშ-ს დაცვა (Defense U. D., 2022). მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებში სახალხო რესპუბლიკის მიერ წარმოშობილი გამოწვევები ძირითადად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მიიჩნევა მწვავე პრობლემად, ოფიციალური პირების გამოსვლები ადასტურებს, რომ ეს სტრატეგიული მეტოქეობა გლობალური მასშტაბისაა.

ზემოთ განხილული დოკუმენტების გავლენას ცხადყოფს რიგი ფაქტები. 2021 წელს პრეზიდენტმა ჯ. ბაიდენმა დიდი შვიდეულის შეხვედრაზე წამოაყენა ახალი ინიციატივა, ე.წ. „ავაშენოთ უკეთესი მსოფლიო“ (“Build Back Better World” – “B3W”). აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს დაბალშემოსავლიანი და საშუალოშემოსავლიანი ქვეყნების ინფრასტრუქტურული საჭიროებების უზრუნველყოფას. ინიციატივა მიზნად ისახავს 40 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ინვესტიციების დაბანდებას განვითარებად ქვეყნებში. პროექტი გლობალური მასშტაბისაა და მოიცავს მთელ რიგ რეგიონებს (ლათინურ ამერიკას, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებს, აფრიკის ქვეყნებს და აზია-წყნარ ოკეანეს) (House W. , 2021). სტრატეგიული მეტოქეობის კონცეფცია ცხადყოფს, რომ ბაიდენის აღნიშნული ინიციატივა წარმოადგენს ერთგვარ საპირწონე/საპასუხო ქმედებას ჩინეთის „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის წინააღმდეგ.

2022 წელს ჯ. ბაიდენმა, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტის დროს, აღნიშნა, რომ რეგიონთან აშშ-ს ურთიერთობები ეფუძნება 5 მთავარ პრინციპს: პარტნიორობა, შეკავება, დიპლომატია, ინტეგრაცია, ღირებულებები (Blanchard, და სხვ., 2023, გვ. 6). აღნიშნული გამოსვლა, ასევე, ერთგვარ რეაგირებას წარმოადგენს ჩინეთის მშვიდობიანი თანაცხოვრების 5 პრინციპზე.

## 5.2 სტრატეგიული მეტოქეობა ჩინეთის გადმოსახედიდან

აღსანიშნავია, რომ „სტრატეგიული მეტოქეობის“ კონცეფცია, აშშ-ს შემთხვევაში, მთავარ გამოწვევად მხოლოდ 2017-2018 წლების დოკუმენტებშია მოხსენიებული. თუმცა, სახალხო რესპუბლიკის 2010 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის თანახმად, „საერთაშორისო სტრატეგიული მეტოქეობა“ მზარდ ტენდენციას წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, ჩინეთი ხსენებულ კონცეფციას საერთაშორისო სისტემის მთავარ ატრიბუტად მიიჩნევს. თუმცა, აღნიშნულ დოკუმენტში, აშშ სტრატეგიული მეტოქეობის კონტექსტში არ არის მოხსენიებული (Council I. O., 2011).

შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს 2017-2018 წლების დოკუმენტებში ჩინეთის მთავარ გამოწვევად დასახელებას სახალხო რესპუბლიკის მხრიდან ოფიციალური გამოხმაურება მოჰყვა. კერძოდ, 2019 წელს პეკინი, დოკუმენტში - „ჩინეთის ეროვნული თავდაცვა ახალ ერაში“, აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სტრატეგიული მეტოქეობა იზრდება.

საყურადღებოა, რომ ამავე კონტექსტში მოხსენიებულია აშშ. შესაბამისად, 2010 წლის „ეროვნული თავდაცვის სტრატეგიისგან“ განსხვავებით, ჩინეთი შეერთებულ შტატებს სტრატეგიული მეტოქის ჭრილში მოიხსენიებს. გარდა ამისა, სახალხო რესპუბლიკა აშშ-ს მთავარ ძალებს შორის დაპირისპირების გამომწვევ ძალად მიიჩნევს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები ზრდის თავდაცვის ხარჯებს და ცდილობს აბსოლუტური სამხედრო უპირატესობის მიღწევას, რაც, საბოლოო ჯამში, საერთაშორისო სისტემის სტაბილურობას არღვევს (Office, 2019).



2022 წლის 22 ოქტომბერს სი ძინპინმა, კომუნისტური პარტიის მე-20 ეროვნულ კონგრესზე, გაიმეორა ზემოთ ხსენებულ დოკუმენტში ხაზგასმული ნარატივი. ამდენად, პრეზიდენტმა განაცხადა სახალხო რესპუბლიკის მტკიცე ოპოზიცია „ჰეგემონიზმის“, „ძალის პოლიტიკის“ და „უნილატერალიზმის“ წინააღმდეგ. გარდა ამისა, სი ძინპინმა კომუნისტური პარტიის უმთავრეს მიზნად დაასახელა ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციისა და გავლენის გაზრდა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩინეთი აქტიურად იყენებს დიპლომატიურ რესურსებს „ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობების“ ჩამოსაყალიბებლად და გლობალურ მმართველობაში მონაწილეობისათვის (Council T. S., The 20th National Congress of the Communist Party of China, 2022).

სახალხო რესპუბლიკასა და აშშ-ს შორის არსებული სტრატეგიული მეტოქეობა თავისებურ გავლენას ახდენს ჩინელი ოფიციალური პირების რიტორიკაზე. მაგალითისათვის, 2021 წლის 24 მარტს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რიადში ერთ-ერთი ინტერვიუს დროს, აღნიშნა, რომ რეგიონული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ახლო აღმოსავლეთი დიდი ძალების გეოპოლიტიკური დაპირისპირებისგან და გარე ძალების ზეწოლისაგან უნდა გათავისუფლდეს. საყურადღებოა, რომ ვანგ იმ აღნიშნული პასუხი გასცა იმ კითხვაზე, რომელშიც ჟურნალისტი ხაზს უსვამდა აშშ-ს მიერ რეგიონული სტრატეგიის გადახედვის ფაქტს. ამავე შეხვედრის დროს, საგარეო საქმეთა მინისტრმა ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად წარმოაყენა 5 პუნქტიანი ინიციატივა: ორმხრივი პატივისცემის ხელშეწყობა (1), თანასწორობის და სამართლიანობის დაცვა (2), ბირთვული გაუფრცელებლობის პრობლემის გადაჭრა (3), კოლექტიური უსაფრთხოების მიღწევა (4), ეკონომიკური განვითარებისათვის თანამშრომლობა (5) (Affairs, 2021).

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-19 ეროვნულ კონგრესზე, სი ძინპინმა აღნიშნა, რომ სახალხო რესპუბლიკა უახლოვდება „მსოფლიო ცენტრის“ სტატუსს და ამ უკანასკნელის „შეფარდებითი ძალა“ აშშ-სთან მიმართებით იზრდება (Commission, 2020). პრეზიდენტი ამავე ნარატივს იმეორებდა 2022 წლის 22 ოქტომბრის გამოსვლაში. იგი ხაზს უსვამდა სახალხო რესპუბლიკის წვლილს

საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გაეროზე (Council T. S., The 20th National Congress of the Communist Party of China, 2022). ზემოთ ხსენებული ფაქტები ცხადყოფს, რომ პეკინი საერთაშორისო დონეზე გავლენისა და სტატუსის გასაძლიერებლად აქტიურად იყენებს დიპლომატიურ ბერკეტებს.

### 5.3 ჩინეთი - პასუხისმგებელი დიდი ძალა

სახალხო რესპუბლიკის ოფიციალურ დოკუმენტებსა და გამოსვლებში სულ უფრო მეტი აქცენტი კეთდება ჩინეთის, როგორც პასუხისმგებელი დიდი ძალის, როლზე საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ამ მხრივ, აღსანიშნავია კომუნისტური პარტიის მე-20 ეროვნული კონგრესი, რომლის ფარგლებშიც, სი ძინპინმა ყურადღება გაამახვილა ჩინეთის, როგორც „პასუხისმგებელი მთავარი ქვეყნის“ სტატუსზე. გარდა ამისა, შეხვედრის დროს, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად დასახელდა სახალხო რესპუბლიკის გლობალურ მმართველობაში მზარდი ჩართულობის უზრუნველყოფა (Council T. S., The 20th National Congress of the Communist Party of China, 2022).

ზემოთ ხსენებული ნარატივი სულ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის მედიატორობით მიღწეულ იქნა ირან-საუდის არაბეთის შეთანხმება. 2023 წლის 7 ივნისს, აშშ-ჩინეთის ბიზნეს-საბჭოს შეხვედრაზე, შეერთებულ შტატებში სახალხო რესპუბლიკის ელჩმა, ქინ განგმა აღნიშნა, რომ ჩინეთი ახლო აღმოსავლეთში „იშვიათი სტაბილურობის“ წყაროა. შემდგომში, ჩინეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აქცენტი გააკეთა სი ძინპინის აქტუალურ ნარატივზე, რომ პეკინი არაა დაინტერესებული სხვა ქვეყნების დამორჩილებით ან ჰეგემონიით. ამ მხრივ, საინტერესოა განგის მიერ გამოყენებული დისკურსი. ელჩმა აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული იმპერიალისტური ან ჰეგემონური მისწრაფებები „არ შედის ჩინელების დნმ-ში“ (Feng, 2023).

საყურადღებოა, რომ ჩინეთის ხელისუფლების ოფიციალური პირები ხშირად გამოდიან ახლო აღმოსავლეთში (და არა მარტო ახლო აღმოსავლეთში) საერთო უსაფრთხოების წესრიგის შექმნის ინიციატივით. 2023 წლის 7 აპრილს გაიმართა შეხვედრა საუდის არაბეთის, ირანის და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის. თეირანისა და რიადის საგარეო უწყებების წარმომადგენლებმა გამოხატეს მადლიერება ჩინეთისადმი, როგორც პასუხისმგებელი მთავარი ძალისადმი. თუმცა, განსაკუთრებით საყურადღებოა სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ვანგ ის რიტორიკა. ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ საუდის არაბეთსა და ირანს შორის მიღწეული შეთანხმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს „საერთო მომავლის მქონე საზოგადოების“ ფორმირებისათვის. გარდა ამისა, ვანგ იმ განაცხადა, რომ ჩინეთი გააგრძელებს მედიატორის როლის შესრულებას თეირანსა და რიადს შორის, რათა ხელი შეუწყოს რეგიონის „უსაფრთხოებასა და სტაბილურობას“ (Council T. S., Chinese FM meets Saudi Arabian, Iranian counterparts, witnesses resumption of Saudi Arabia-Iran diplomatic ties, 2023).

საბოლოოდ, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მარტში საუდის არაბეთსა და ირანს შორის მიღწეული შეთანხმების შემდგომ პერიოდში, სახალხო რესპუბლიკასა და მის პარტნიორ სახელმწიფოებს შორის დიალოგში „პასუხისმგებელი დიდი ძალის“ რიტორიკა აქტუალურია. ამ მხრივ აღსანიშნავია, პალესტინის საგარეო საქმეთა მინისტრის (Council T. S., Chinese, Palestinian FMs hold phone talks, 2023), საუდის არაბეთის პრემიერ მინისტრის (Council T. S., Xi says China ready to contribute more to Middle East peace, development, 2023) და რუსეთის პრეზიდენტის (Council T. S., Xi, Putin agree to deepen comprehensive strategic partnership of coordination for new era, 2023) რიტორიკა. ხსენებული ნარატივი გაჟღერდა ჩინეთისა და არაბული სახელმწიფოების პირველ სამიტზე. ამდენად, სი ძინპინმა აღნიშნა, რომ სახალხო რესპუბლიკა მზადაა არაბულ ქვეყნებთან ერთად ხელი შეუწყოს „საერთო, ყოვლისმომცველი, თანამშრომლობითი და მდგრადი უსაფრთხოების არქიტექტურის“ შენებას ახლო აღმოსავლეთში (China, President Xi Jinping Attends the First China-Arab States Summit and Delivers a Keynote Speech, 2022).

## თავი VI. საკითხის ანალიზი თეორიულ ჭრილში

ჩინეთისა და არაბული სახელმწიფოების პირველ სამიტზე სი ძინპინმა განაცხადა, რომ მსოფლიო დგას „არეულობისა და ტრანსფორმაციის“ ეტაპის წინაშე, ახლო აღმოსავლეთში კი, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება (China, President Xi Jinping Attends the First China-Arab States Summit and Delivers a Keynote Speech, 2022). საერთაშორისო სისტემის შესახებ ხსენებული ნარატივი ჩანს სახალხო რესპუბლიკის 2019 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაშიც (Office, 2019). შესაბამისად, ჩინური გადმოსახედიდან, საერთაშორისო სისტემა კომპლექსურია. აღნიშნული ხედვა შეესაბამება თავდასხმითი რეალიზმის ერთ-ერთ მთავარ პოსტულატს, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია. კერძოდ, სახელმწიფოები მოქმედებენ მათზე მაღლა მდგომი ავტორიტეტის/ხელისუფლების ზედამხედველობის გარეშე.

ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოების უმთავრესი მიზანია გადარჩენა, რისთვისაც ისინი გლობალური ჰეგემონიისაკენ მიისწრაფვიან. როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო მასშტაბის ჰეგემონიის მოპოვება და შენარჩუნება რთულია. ამიტომ, სახელმწიფოები ცდილობენ გახდნენ რეგიონული ჰეგემონები. გარდა ამისა, დიდი ძალების ინტერესებში არ შედის სხვა რეგიონებში რომელიმე ქვეყნის ჰეგემონური სტატუსი. ამიტომ, ძლიერი სახელმწიფოები სხვა რეგიონებშიც ხელს უშლიან რომელიმე ჰეგემონის არსებობას. აღნიშნული თეორიული ხედვები გამოხატულებას ჰპოვებს ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში. კერძოდ, სახალხო რესპუბლიკის ოფიციალურ დოკუმენტებში ნათლად ჩანს მისი უკმაყოფილება აზია-წყნარ ოკეანეში აშშ-ს მზარდი ჩართულობით (Council I. O., 2011); (Office, 2019). აღნიშნული ტენდენცია ხაზგასმულია შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაშიც, რომლის თანახმადაც, სახალხო რესპუბლიკა ხსენებულ რეგიონში ჰეგემონიისაკენ მიისწრაფვის (House T. W., National Security Strategy, 2022).

აღსანიშნავია, რომ სახალხო რესპუბლიკა შეერთებული შტატების დომინანტური როლით უკმაყოფილოა არა მხოლოდ აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში, არამედ ახლო

აღმოსავლეთშიც. თავდასხმითი რეალიზმის გადმოსახედიდან, მიმდებარე რეგიონებში აშშ-ს ჰეგემონობა არ შედის პეკინის ინტერესებში. ამ ტენდენციას ცხადყოფს როგორც ჩინეთის ოფიციალური დოკუმენტები, ისე სი ძინპინის განცხადებები. სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, თავის გამოსვლებში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ხშირად უცხადებს მხარდაჭერას გარე ძალებისა და გავლენის წინააღმდეგ. გარდა ამისა, 2019 წლის ეროვნული თავდაცვის დოკუმენტის მიხედვით, სახალხო რესპუბლიკა აშშ-ს სტრატეგიულ მეტოქედ მიიჩნევს არა მხოლოდ რეგიონულ დონეზე, არამედ გლობალური მასშტაბით (Office, 2019).

როგორც თავდასხმითი რეალიზმი განმარტავს, ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოების ქმედებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უნდობლობა და შიში. შიშის ფაქტორი მთავარ ძალებს მოუწოდებს, რომ გადარჩენისათვის ისინი სისტემის ყველაზე ძლიერი აქტორები უნდა გახდნენ. მოქმედების ამგვარი პატერნი ნათლად ჩანს ჩინეთის მაგალითზე, რამდენადაც საერთაშორისო დონეზე გაძლიერება სახალხო რესპუბლიკისათვის უმთავრეს საგარეო პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს (Council T. S., The 20th National Congress of the Communist Party of China, 2022).

თავდასხმითი რეალიზმის თანახმად, დიდი ძალების მთავარი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი არის სამხედრო ძალა. თუმცადა, თეორიის თანახმად, ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ სხვა მიზნები (მაგალითად, ეკონომიკური განვითარება) და ინსტრუმენტებიც (მაგალითად, ეკონომიკური/სავაჭრო და დიპლომატიური). ჩინეთის შემთხვევაშიც, ეკონომიკური განვითარება ხელს უწყობს პეკინის ძლიერების გაზრდას. როგორც 2022 წლის აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტი მოწმობს, სახალხო რესპუბლიკა სხვა ქვეყნებზე გავლენის გასაზრდელად იყენებს ეკონომიკურ და დიპლომატიურ ბერკეტებს (House T. W., National Security Strategy, 2022). შესაბამისად, თავდასხმითი რეალიზმის პერსპექტივიდან, საუდის არაბეთსა და ირანს შორის ჩინეთის მედიატორობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ ქვეყნებზე და ზოგადად რეგიონში, გავლენის განმტკიცების მცდელობა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩინეთმა მედიატორობა იკისრა ისეთ ორ სახელმწიფოს შორის, როგორცაა საუდის არაბეთი და ირანი. სხვა სიტყვებით, ისლამური რესპუბლიკა აშშ-ს მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ქვეყანაა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, შეერთებული შტატების მიერ რეგიონული სტაბილურობისადმი მთავარ გამოწვევად მიიჩნევა (House T. W., National Security Strategy, 2022). მეორე მხრივ, საუდის არაბეთი ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს, რომელთანაც, შეერთებულ შტატებს კავშირების გაძლიერება სურს (რამდენადაც ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის მიხედვით, ვაშინგტონი სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაძლიერებას გეგმავს) (Defense U. D., 2022). შესაბამისად, ჩინეთის მიერ ირანსა და საუდის არაბეთს შორის მედიაციის პროცესში ჩართვა ცხადყოფს, რომ სახალხო რესპუბლიკა ამერიკული გავლენის წინააღმდეგ მოქმედებს. ამ თვალსაზრისით, სი ძინპინის განცხადებები მიანიშნებს ტენდენციაზე, რომ სახალხო რესპუბლიკას აღარ სურს ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს მიერ დომინირებადი უსაფრთხოების რეგიონული წესრიგის ფარგლებში იმოქმედოს.

საბოლოოდ, როგორც თავდასხმითი რეალიზმი მიიჩნევს, ჩინეთს ანარქიული საერთაშორისო სისტემა რეგიონული ჰეგემონიისაკენ და მიმდებარე რეგიონებში გავლენის გაძლიერებისაკენ უბიძგებს. ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე კონფლიქტის რეზოლუციაში მონაწილეობით სახალხო რესპუბლიკამ საკუთარი მნიშვნელოვანი როლის დემონსტრაცია მოახდინა. შესაბამისად, საუდის არაბეთსა და ირანს შორის მედიატორობა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც სახალხო რესპუბლიკის მცდელობა, რომ ახლო აღმოსავლეთში თავისი გავლენა გააძლიეროს. პეკინის მიერ რეგიონში სტატუსის გაზრდის სურვილი კი, გააძლიერა აშშ-სთან სტრატეგიულმა დაპირისპირებამ.

## დასკვნა

გასულ ათწლეულში საუდის არაბეთსა და ირანს შორის არსებული დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. აღნიშნულ პერიოდში ჩინეთი ორივე სახელმწიფოსთან მიმართებით დამაბალანსებელ საგარეო პოლიტიკას მიმართავდა. შესაბამისად, სახალხო რესპუბლიკა რიადსა და თეირანს შორის დაპირისპირებაში ჩაბმას თავს არიდებდა. გარდა ამისა, ამავე პერიოდში, პეკინის მხრიდან, კონფლიქტის რეზოლუციისათვის, მნიშვნელოვანი დიპლომატიური ძალისხმევა არ შეიმჩნეოდა. ამ თვალსაზრისით, საუდის არაბეთსა და ირანს შორის ჩინეთის თაოსნობით მიღწეული შეთანხმება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. ამდენად, აღნიშნული მოვლენა სახალხო რესპუბლიკის მედიაციური დიპლომატიის გააქტიურების ინდიკატორია.

სწრაფი ეკონომიკური განვითარების ფონზე, ახლო აღმოსავლეთი ჩინეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონად იქცა. 2013 წელს სი ძინპინის მიერ ინიცირებული „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა აღმოჩნდა ის გარდამტეხი მომენტი, რომლის შედეგადაც, ახლო აღმოსავლეთისადმი სახალხო რესპუბლიკის ინტერესმა მზარდი ხასიათი მიიღო. პროექტის იმპლემენტაციის პროცესთან ერთად, რეგიონში პეკინის ინვესტიციები მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, ჩინეთის ეკონომიკური მისწრაფებებისათვის ახლო აღმოსავლეთმა კრიტიკული როლის შესრულება დაიწყო. რეგიონის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებმა, ენერგოდამოკიდებულებამ და „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულმა დიდძალმა ინვესტიციებმა ახლო აღმოსავლეთი პეკინისათვის მნიშვნელოვან რეგიონად აქცია. შესაბამისად, ურთიერთობების აღნიშნულმა დინამიკამ გაზარდა სახალხო რესპუბლიკის ინტერესი რეგიონული სტაბილურობისა და მშვიდობისადმი.

„სარტყლისა და გზის“ ინიციატივა ჩინეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ მნიშვნელოვან წარმოდგენას ქმნის. კერძოდ, პროექტის გლობალური მასშტაბი მიაჩნდება სახალხო რესპუბლიკის ამბიციურ სამომავლო გეგმებზე. ამდენად, პეკინი

ეკონომიკური განვითარების „ლოზუნგით“, მიზნად ისახავს საერთაშორისო როლისა და სტატუსის გაძლიერებას. აღნიშნულ ტენდენციას ცხადყოფს ჩინეთის ოფიციალური პირების განცხადებები და ეროვნული თავდაცვის სტრატეგიები. სახალხო რესპუბლიკის გლობალური გავლენის გაძლიერება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთზე, რომელიც „სარტყლისა და გზის“ ინიციატივისათვის კრიტიკულ გეოგრაფიულ არეალს წარმოადგენს. ამიტომ ჩინეთი, საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, დაინტერესებულია რეგიონში არსებული ინტერესების დაცვითა და გავლენის გაძლიერებით. სახალხო რესპუბლიკის რეგიონული მიზნების მიღწევა ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის არსებობაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ჩინეთს ირანსა და საუდის არაბეთს შორის მედიატორობისაკენ უბიძგა რეგიონული ინტერესების დაცვის და გავლენის განმტკიცების სურვილმა.

ახლო აღმოსავლეთში გავლენის გაძლიერების ჩინურ ინტერესს აძლიერებს სახალხო რესპუბლიკასა და შეერთებულ შტატებს შორის არსებული სტრატეგიული მეტოქეობა. სი ძინპინის განცხადებები და ოფიციალურ დოკუმენტებში გამოყენებული ნარატივი ცხადყოფს, რომ ხსენებული ქვეყნები ერთმანეთს სტრატეგიულ კონკურენტებად მიიჩნევენ. დიდი ხნის მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დომინირებად ტერიტორიად მიიჩნეოდა. თუმცადა, საუდის არაბეთსა და ირანს შორის მიღწეულმა შეთანხმებამ აშკარა გახადა საპირისპირო ტენდენცია. კერძოდ, ჩინეთის მიერ რეგიონში საკუთარი გავლენის განმტკიცების პროცესში, სტრატეგიული მეტოქეობის ფონზე, ამერიკული და ჩინური ინტერესები ერთმანეთს „ეჯახება“. ინტერესთა დაპირისპირება განსაკუთრებით კარგად ჩანს ირანთან დაკავშირებულ საკითხებში. ამდენად, აშშ-ს მოკავშირე და ვაშინგტონისადმი ანტაგონისტურად განწყობილ ძალებს შორის მოდერატორის როლის შესრულებით, ჩინეთი ცდილობს რეგიონული გავლენის გაძლიერებას. მეორე მხრივ, სახალხო რესპუბლიკის მიერ ახლო აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციის განმტკიცების მიზანს აძლიერებს აშშ-ს და ჩინეთს შორის არსებული სტრატეგიული მეტოქეობა.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*. თბილისი: "სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი".
2. აკობია, ე., თვალავაძე, რ., ტარასაშვილი, მ., კაკაშვილი, ლ., & მოსიძე, თ. (2021). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სკოლები*. თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. რონდელი, ა. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობები*. თბილისი: ნეკერი.
4. ფრანკფორტ-ნაჩმიასი, ჩ., & ნაჩმიასი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.  
Retrieved 06 19, 2023, from <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/kvlevismetodebisociologiurmecnierebebshi.pdf>
5. წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. Acar, N. (2022, 06 03). Chinese Foreign Policy Regarding Iran-Saudi Arabia Rivalry . *Turkish Journal of Middle Eastern Studies*, 9(1), 187-216. doi:10.26513/tocd.994303
7. Affairs, M. o. (2021). *Wang Yi Proposes a Five-point Initiative on Achieving Security and Stability in the Middle East*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from [https://www.fmprc.gov.cn/mfa\\_eng/wjb\\_663304/wjbz\\_663308/activities\\_663312/202103/t20210327\\_9168120.html](https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/wjb_663304/wjbz_663308/activities_663312/202103/t20210327_9168120.html)
8. Belal, K. (2020). China-Iran Relations: Prospects and Complexities. *Policy Perspectives*, 47-65. doi:10.13169/polipers.17.2.0047

9. Blanchard, C. M., Campbell, C., Barrios, R., Ratner, M., Brown, P., & Sutherland, M. D. (2023). *Middle East and North Africa-China Relations*. Washington: Congressional Research Service. Retrieved 06 19, 2023, from <https://sgp.fas.org/crs/mideast/R47482.pdf>
10. Brown, A. (2023, March 29). What Does the Saudi-Iran Deal Mean for the Middle East? *The Washington Institute for Near East Policy*, 1-2. Retrieved 05 07, 2023, from <https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/what-does-saudi-iran-deal-mean-middle-east>
11. Burton, G. (2023). *Neither China Nor Iran Will Get What They Want From Their Relationship*. *The Diplomat*. Retrieved 06 20, 2023, from <https://thediplomat.com/2023/02/neither-china-nor-iran-will-get-what-they-want-from-their-relationship/>
12. Cengiz, S. (2020, 02 21). Saudi Foreign Policy Towards China in the Post-Arab Uprisings Era: A Neo-classical Realist Approach. *Asian Journal of Middle Eastern and Islamic Studies*, 51-67. doi:10.1080/25765949.2020.1728971
13. Chaziza, M. (2015). CHINA'S MIDDLE EAST FOREIGN POLICY AND THE YEMEN CRISIS: CHALLENGES AND IMPLICATIONS. *Middle East Review of International Affairs*, 19(2), 18-23. Retrieved 06 07, 2023, from <https://www.proquest.com/openview/680a8f2caa9480de55a94616060cd144/1?pq-origsite=gscholar&cbl=54955>
14. Chaziza, M. (2018, 03 21). China's Mediation Efforts in the Middle East and North Africa: Constructive Conflict Management. *Strategic Analysis*, 29-41. doi:10.1080/09700161.2017.1418956
15. Chen, D. (2021). *China's Belt and Road Initiative and Saudi Vision 2030: A Review of the Partnership for Sustainability*. Riyadh: KAPSARC. doi:10.30573/KS--2021-DP16

16. China, M. o. (2016, 01 22). Xi Jinping Delivers Important Speech at Headquarters of the League of Arab States, Stressing to Jointly Create a Bright Future for Development of China-Arab Relations and Promote National Rejuvenation of China and Arab States to Form More Convergence. Beijing, Chaoyang District, China. Retrieved 06 20, 2023, from [https://www.fmprc.gov.cn/mfa\\_eng/topics\\_665678/2016zt/xjpdstajyljxgsfw/201601/t20160125\\_704485.html](https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/topics_665678/2016zt/xjpdstajyljxgsfw/201601/t20160125_704485.html)
17. China, M. o. (2016, 01 20). Xi Jinping Holds Talks with King Salman bin Abdulaziz Al Saud of Saudi Arabia Two Heads of State Jointly Announce Establishment of China-Saudi Arabia Comprehensive Strategic Partnership. Beijing, Chaoyang District, China. Retrieved 06 20, 2023, from [https://www.fmprc.gov.cn/eng/topics\\_665678/2016zt/xjpdstajyljxgsfw/201601/t20160121\\_704459.html](https://www.fmprc.gov.cn/eng/topics_665678/2016zt/xjpdstajyljxgsfw/201601/t20160121_704459.html)
18. China, M. o. (2022, 12 10). President Xi Jinping Attends the First China-Arab States Summit and Delivers a Keynote Speech. Beijing, Chaoyang District, China. Retrieved 06 20, 2023, from [https://www.fmprc.gov.cn/eng/zxxx\\_662805/202212/t20221211\\_10988748.html](https://www.fmprc.gov.cn/eng/zxxx_662805/202212/t20221211_10988748.html)
19. Chong, A., & Pham, Q. M. (2020). *Critical Reflections on China's Belt & Road Initiative*. Singapore: Palgrave Macmillan. Retrieved 06 07, 2023, from <https://doi.org/10.1007/978-981-13-2098-9>
20. Chubin, S., & Tripp, C. (2014). *Iran-Saudi Arabia Relations and Regional Order*. Abingdon: Routledge. Retrieved 06 18, 2023, from <https://www.routledge.com/Iran-Saudi-Arabia-Relations-and-Regional-Order/Chubin-Tripp/p/book/9780198292838>
21. Commission, U.-C. E. (2020, 11 30). *China's View of Strategic Competition with the United States*. Retrieved 06 21, 2023, from U.S.-China Economic and Security Review Commission: [https://www.uscc.gov/sites/default/files/2020-12/Chapter\\_1\\_Section\\_1--A\\_Global\\_Context\\_for\\_Power\\_and\\_Influence.pdf](https://www.uscc.gov/sites/default/files/2020-12/Chapter_1_Section_1--A_Global_Context_for_Power_and_Influence.pdf)

22. Council, I. O. (2011). *China's National Defense in 2010*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from <http://eng.mod.gov.cn/xb/Publications/WhitePapers/4887922.html>
23. Council, T. S. (2016). *China's Arab Policy Paper*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 19, 2023, from [https://english.www.gov.cn/archive/publications/2016/01/13/content\\_281475271412746.htm](https://english.www.gov.cn/archive/publications/2016/01/13/content_281475271412746.htm)
24. Council, T. S. (2022). *The 20th National Congress of the Communist Party of China*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from [https://english.www.gov.cn/news/topnews/202210/25/content\\_WS6357df20c6d0a757729e1bfc.html](https://english.www.gov.cn/news/topnews/202210/25/content_WS6357df20c6d0a757729e1bfc.html)
25. Council, T. S. (2023). *Chinese FM meets Saudi Arabian, Iranian counterparts, witnesses resumption of Saudi Arabia-Iran diplomatic ties*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from [http://english.www.gov.cn/news/202304/07/content\\_WS642f6cd0c6d03ffcca6ec186.html](http://english.www.gov.cn/news/202304/07/content_WS642f6cd0c6d03ffcca6ec186.html)
26. Council, T. S. (2023). *Chinese, Palestinian FMs hold phone talks*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from [http://english.www.gov.cn/news/202304/18/content\\_WS643dd0e6c6d03ffcca6ec5fe.html](http://english.www.gov.cn/news/202304/18/content_WS643dd0e6c6d03ffcca6ec5fe.html)
27. Council, T. S. (2023). *Xi says China ready to contribute more to Middle East peace, development*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from [http://english.www.gov.cn/news/topnews/202303/28/content\\_WS64228d33c6d0f528699dc57d.html](http://english.www.gov.cn/news/topnews/202303/28/content_WS64228d33c6d0f528699dc57d.html)
28. Council, T. S. (2023). *Xi, Putin agree to deepen comprehensive strategic partnership of coordination for new era*. Beijing: Xinhua. Retrieved 06 21, 2023, from [http://english.www.gov.cn/news/topnews/202303/22/content\\_WS641a5bd5c6d0f528699db7c2.html](http://english.www.gov.cn/news/topnews/202303/22/content_WS641a5bd5c6d0f528699db7c2.html)

29. Defense, T. D. (2018). *Summary of the National Defense Strategy of The United States of America*. Washington: The United States of America. Retrieved from <https://dod.defense.gov/Portals/1/Documents/pubs/2018-National-Defense-Strategy-Summary.pdf>
30. Defense, U. D. (2022). *Fact Sheet: 2022 National Defense Strategy*. Washington: The United States of America. Retrieved 06 21, 2023, from <https://media.defense.gov/2022/Mar/28/2002964702/-1/-1/1/NDS-FACT-SHEET.PDF>
31. Europe, R. F. (2023). *U.S. Welcomes Iran-Saudi Deal, But Voices Skepticism*. Radio Free Europe. Retrieved 05 07, 2023, from <https://www.rferl.org/a/iran-saudi-relations-resumed/32312173.html>
32. Fassihi, F., & Myers, S. L. (2021, 03 27). China, With \$400 Billion Iran Deal, Could Deepen Influence in Mideast. New York, USA. Retrieved 06 18, 2023, from <https://www.nytimes.com/2021/03/27/world/middleeast/china-iran-deal.html>
33. Feng, X. (2023). *China is a source of much-needed stability and certainty: Chinese ambassador to U.S.* Beijing: The State Council . Retrieved 06 21, 2023, from [http://english.www.gov.cn/news/202306/08/content\\_WS64819e7ac6d0868f4e8dcb48.html](http://english.www.gov.cn/news/202306/08/content_WS64819e7ac6d0868f4e8dcb48.html)
34. Fulton, J. (2019). *China's Changing Role in the Middle East*. Atlantic Council. Retrieved 06 07, 2023, from <https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/china-s-changing-role-in-the-middle-east-2/>
35. Fulton, J. (2020). Situating Saudi Arabia in China's Belt and Road Initiative. *Asian Politics & Policy*, 12(3), 1-22. doi:10.1111/aspp.12549
36. Fulton, J. (2021). China between Iran and the Gulf Monarchies. *Middle East Policy*, 28(3-4), 203-216. Retrieved 06 07, 2023, from <https://doi.org/10.1111/mepo.12589>

37. Fulton, J. (2022). The China–Iran Comprehensive Strategic Partnership: A Tale of two Regional Security Complexes. *Asian Affairs*, 53(1), 145-163.  
doi:10.1080/03068374.2022.2029073
38. Gallagher, A., Hamasaeed, S., & Nada, G. (2023). What You Need to Know About China’s Saudi-Iran Deal. *United States Institute Of Peace*, 1-9. Retrieved 05 07, 2023, from <https://www.usip.org/publications/2023/03/what-you-need-know-about-chinas-saudi-iran-deal>
39. Garlick, J., & Havlova, R. (2020). China’s “Belt and Road” Economic Diplomacy in the Persian Gulf: Strategic Hedging amidst Saudi–Iranian Regional Rivalry. *Journal of Current Chinese Affairs*, 49(1), 82-99. Retrieved 06 07, 2023, from <https://doi.org/10.1177/1868102619898706>
40. Georgy, M. (2023, 06 06). Saudi-Iranian ties: A history of ups and downs. (N. Macfie, & M. Heinrich, Eds.) Dubai, United Arab Emirates. Retrieved 06 18, 2023, from <https://www.reuters.com/world/middle-east/saudi-iranian-ties-history-ups-downs-2023-06-06/>
41. Gibbon, G. (2023). *Saudi dominates Chinese BRI investment in GCC*. Arabian Gulf Business Insight. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.agbi.com/articles/saudi-dominates-chinese-bri-investment-in-the-region/>
42. Green, W., & Roth, T. (2021). *China-Iran Relations: A Limited but Enduring Strategic Partnership*. U.S.-China Economic and Security Review Commission. Retrieved 05 07, 2023, from [https://www.uscc.gov/sites/default/files/2021-06/China-Iran\\_Relations.pdf](https://www.uscc.gov/sites/default/files/2021-06/China-Iran_Relations.pdf)
43. Hadzikadunic, E. (2019). Iran–Saudi Ties: Can History Project Their Trajectory? *Middle East Institute*, 7-8. Retrieved 06 18, 2023, from <https://mei.nus.edu.sg/wp-content/uploads/2019/10/Insight-215-Saudi-Iranian-Ties.pdf>

44. Harold, S., & Nader, A. (2012). *China and Iran: Economic, Political, and Military Relations*. Santa Monica: RAND Corporation. Retrieved 06 18, 2023, from [https://www.rand.org/pubs/occasional\\_papers/OP351.html](https://www.rand.org/pubs/occasional_papers/OP351.html)
45. Hong, Y. (2021). *China-Iran deal complements the BRI, but faces Iranian domestic opposition and US sanctions*. Think China. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.thinkchina.sg/china-iran-deal-complements-bri-faces-iranian-domestic-opposition-and-us-sanctions>
46. Houghton, B. (2022, 02 09). China's Balancing Strategy Between Saudi Arabia and Iran: The View from Riyadh. *Assian Affairs*, 53(1), 124-144. doi:10.1080/03068374.2022.2029065
47. House, T. W. (2017). *National Security Strategy of the United States of America*. Washington: The United States of America. Retrieved 06 20, 2023, from <https://trumpwhitehouse.archives.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf>
48. House, T. W. (2022). *National Security Strategy*. Washington: The United States of America. Retrieved 06 21, 2023, from <https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2022/10/Biden-Harris-Administrations-National-Security-Strategy-10.2022.pdf>
49. House, W. (2021). *FACT SHEET: President Biden and G7 Leaders Launch Build Back Better World (B3W) Partnership*. Washington: The United States of America. Retrieved 06 21, 2023, from <https://www.whitehouse.gov/briefing-room/statements-releases/2021/06/12/fact-sheet-president-biden-and-g7-leaders-launch-build-back-better-world-b3w-partnership/>
50. Idris, N. A., & Razani, E. (2015). THE SHAH'S CHINA POLICY: FROM HOSTILITY TO RAPPROCHEMENT (A NEOCLASSICAL REALIST VIEW). *Journal of Social Sciences and*

- Humanities*(1), 9-22. Retrieved 06 18, 2023, from [http://www.ukm.my/e-bangi/index.php?option=com\\_jresearch&view=publicationslist&Itemid=45&lang=en](http://www.ukm.my/e-bangi/index.php?option=com_jresearch&view=publicationslist&Itemid=45&lang=en)
51. Jinping, X. (2022). *The 20th National Congress of the Communist Party of China*. Beijing: The People's Republic of China (The State Council). Retrieved 06 20, 2023, from [https://english.www.gov.cn/news/topnews/202210/25/content\\_WS6357df20c6d0a757729e1bfc.html](https://english.www.gov.cn/news/topnews/202210/25/content_WS6357df20c6d0a757729e1bfc.html)
52. Juan, C., Meng, S., & Shaobiao, W. (2018). Aligning China's Belt and Road Initiative with Saudi Arabia's 2030 Vision: Opportunities and Challenges. *China Quarterly of International Strategic Studies*, 4(3), 363-379. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.worldscientific.com/doi/pdf/10.1142/S2377740018500203>
53. Karam, J. (2022, 08 04). Barbara Leaf says US maintains 'clear advantage' over China in Middle East. Abu Dhabi, UAE: The National News. Retrieved 06 21, 2023, from <https://www.thenationalnews.com/world/us-news/2022/08/04/barbara-leaf-says-us-maintains-clear-advantage-over-china-in-middle-east/>
54. Keynoush, B. (2016). *Saudi Arabia and Iran: Friends or Foes?* New York: Palgrave Macmillan.
55. Khan, A. (2022). *What Does Iran's Membership in the SCO Mean for the Region?* China: The Diplomat. Retrieved 06 20, 2023, from <https://thediplomat.com/2022/09/what-does-irans-membership-in-the-sco-mean-for-the-region/>
56. Lons, C., Fulton, J., Sun, D., & Al-Tamimi, N. (2019). *China's Great Game in the Middle East*. European Council on Foreign Relations. Retrieved 06 17, 2023, from <https://www.jstor.org/stable/resrep21525>
57. Madani, S. (2022). Beyond Geopolitics: A Geoeconomic Perspective of China-Iran Belt and Road Initiative Relations. *Uluslararası İlişkiler*, 19(74), 53-72. doi:10.33458/uidergisi.111



58. Mariani, B. (2022). *China's Engagement in Conflict and Post-Conflict Settings: The Quest for Stability*. The University of Edinburgh. Edinburgh: The Peace and Conflict Resolution Evidence Platform. Retrieved 06 17, 2023, from <https://peacerep.org/publication/chinas-engagement-in-conflict-and-post-conflict-settings-the-quest-for-stability/>
59. McBride, J., Berman, N., & Chatzky, A. (2023). *China's Massive Belt and Road Initiative*. US: Council on Foreign Relations. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.cfr.org/backgrounder/chinas-massive-belt-and-road-initiative>
60. Mearsheimer, J. J. (2001). *The Tragedy of Great Power Politics*. New York: W. W. Norton & Company.
61. Murphy, D. C. (2022). *China's Rise in The Global South: The Middle East, Africa and Beijing's Alternative World Order*. Stanford, California, United States of America: Stanford University Press.
62. Nations, U. (2023, 06 20). *Political and Peacebuilding Affairs*. Retrieved from United Nations: <https://dppa.un.org/en/shanghai-cooperation-organization>
63. Office, T. S. (2019). *China's National Defense in the New Era*. Beijing: The People's Republic of China. Retrieved 06 21, 2023, from [https://english.www.gov.cn/archive/whitepaper/201907/24/content\\_WS5d3941ddc6d08408f502283d.html](https://english.www.gov.cn/archive/whitepaper/201907/24/content_WS5d3941ddc6d08408f502283d.html)
64. Radwan, R. (2022, 12 10). Saudi Arabia, China emerge as comprehensive strategic partners as Chinese President Xi Jinping wraps up state visit. Riyadh, Saudi Arabia. Retrieved 06 18, 2023, from <https://www.arabnews.com/node/2213756/saudi-arabia>
65. Region, O. o. (2018, 07 10). Xi Jinping Delivers a Speech at The Opening Ceremony of The Eighth Ministerial Meeting of The China-Arab States Cooperation Forum. China. Retrieved 06 19, 2023, from [http://mo.ocmfa.gov.cn/eng/zxxw/szyw/201807/t20180711\\_7921309.htm](http://mo.ocmfa.gov.cn/eng/zxxw/szyw/201807/t20180711_7921309.htm)

66. Sadeghi, H., & Ahmadian, H. (2011). Iran-Saudi Relations: Past Pattern, Future Outlook. *Iranian Review of Foreign Affairs*, 125-135. Retrieved 06 09, 2023, from <https://www.semanticscholar.org/paper/Iran-Saudi-Relations%3A-Past-Pattern%2C-Future-Outlook-Sadeghi-Ahmadian/821899fe54cb7e197e06a7e09198ca72d593e433>
67. Schultz, K. (2019). *Great Power Mediation: Opportunities and Challenges for China*. The Stimson Center. Washington: STIMSON. Retrieved 06 21, 2023, from [https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&url=https://www.stimson.org/wp-content/files/file-attachments/Great-Power-Mediation\\_2019\\_R5\\_English\\_0.pdf&ved=2ahUKEwjx17Dy4cn\\_AhU7QyEDHZqVDuQQFn\\_oECBkQAQ&usg=AOvVaw1U-8KOg7xQlju8FEmYDiSH](https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&url=https://www.stimson.org/wp-content/files/file-attachments/Great-Power-Mediation_2019_R5_English_0.pdf&ved=2ahUKEwjx17Dy4cn_AhU7QyEDHZqVDuQQFn_oECBkQAQ&usg=AOvVaw1U-8KOg7xQlju8FEmYDiSH)
68. Scobell, A., & Nader, A. (2016). *China in the Middle East: The Wary Dragon*. Santa Monica: RAND Corporation. Retrieved 06 07, 2023, from [https://www.rand.org/pubs/research\\_reports/RR1229.html](https://www.rand.org/pubs/research_reports/RR1229.html)
69. Shine, S., Guzansky, Y., & Shavit, E. (2023, March 14). Iran and Saudi Arabia Renew Relations. *The Institute for National Security Studies*, 1-5. Retrieved 06 21, 2023, from <https://www.inss.org.il/wp-content/uploads/2023/03/No.-1695.pdf>
70. Shiwei, S. (2022, 12 08). BRI Projects & Programs: China-Arab states '1+2+3' cooperation pattern. Beijing, China. Retrieved 06 20, 2023, from <https://news.cgtn.com/news/2022-12-08/BRI-Projects-Programs-China-Arab-states-1-2-3-cooperation-pattern-1fAE45LdebS/index.html>
71. Sintusingha, S., Wu, H., Lin, W., Han, S. S., & Qin, B. (2021). *International Perspectives on the Belt and Road Initiative: A Bottom-Up Approach*. Abingdon: Routledge. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.taylorfrancis.com/chapters/edit/10.4324/9780367854645-12/belt-road-initiative-iran-morteza-mirgholami>

72. Staff, R. (2022). *Saudi Arabia and China sign comprehensive strategic partnership agreement - SPA*. Reuters. Retrieved 05 07, 2023, from <https://www.reuters.com/article/china-saudi-agreement-idINS8N32C0B7>
73. Sun, D., & Zoubir, Y. (2017, 10 27). China's Participation in Conflict Resolution in the Middle East and North Africa: A Case of Quasi-Mediation Diplomacy? *Journal of Contemporary China*, 224-243. doi:10.1080/10670564.2018.1389019
74. Syed, A. (2022, 12 10). How Saudi Arabia can capitalize on Chinese expertise to achieve its diversification goals. Riyadh, Saudi Arabia. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.arabnews.com/node/2213426/business-economy>
75. Tamimi, N. A. (2012). ChinaSaudi Arabia Relations: Economic Partnership or Strategic Alliance? . *HH Sheikh Nasser al-Mohammad Al-Sabah Publication Series*, 1-24. Retrieved 06 18, 2023, from <https://dro.dur.ac.uk/9683/>
76. Team, E. P. (2023, March 11). *The Diplomatic Service of the European Union*. Retrieved 05 07, 2023, from European Union External Action: [https://www.eeas.europa.eu/eeas/iransaudi-arabia-statement-spokesperson-announced-resumption-diplomatic-relations\\_en](https://www.eeas.europa.eu/eeas/iransaudi-arabia-statement-spokesperson-announced-resumption-diplomatic-relations_en)
77. Yaakoubi, A. E. (2023, 03 29). Riyadh joins Shanghai Cooperation Organization as ties with Beijing grow. Riyadh, Saudi Arabia. Retrieved 06 20, 2023, from <https://www.reuters.com/world/riyadh-joins-shanghai-cooperation-organization-ties-with-beijing-grow-2023-03-29/>
78. Yin, R. K. (2014). *Case Study Research: Design and Methods*. Thousand Oaks: Sage.



